ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 16 მაისი, 2018 №114 (7659) ფასი: 50 თეთრი

„აფხაზეთიდან ჩამოსულ აფხაზებს საქართველოში უფასოდ მკურნალობენ, ქართველებს — არა“

გვ.5

15 მაისიდან

დეშილ ჰემეთი

მალტის შევარდენი

სერია ნამდვილი დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

გახდება თუ არა ბერა ივანიშვილი „ოცნების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქვეყანა ბიძინასა და ბიძინიჩის ხუშტურებით იმართება“

„ბიძინაშვილი ჯი ვარ, მაგრამ, არა მგონია, ბიძინასთან და ბიძინიჩთან ჩემი თანამშრომლობა შედგეს"

მამუკა გამყრელიძე: „ამ აქციებით ყველაზე მეტად ივანიშვილმა იხეირა“

გვ.4

„ქართულმა ოცნებამ“ მიცვალებულებს წამოჯდომის უფლება მისცა

გვ.2

„ნატოში შესვლა თუ გვინდა, გერმანიასთან მუშაობაა საჭირო“

გვ.2

სამართალი

გვ.7

ნათია მეზვრიშვილი: „ბასიანსა“ და გალერიში“ ნარკოტიკები იყიდებოდა და პოლიციამ ჩხრეკა სწორად ჩაატარა“

ნინო ლომჯარია ნეონაცისტების წინააღმდეგ

„შსს-მ ნეონაცისტების ყველა დანაშაულებრივი ქმედება უნდა გამოიძიოს“

ეკონომიკა

გვ.6

ქართულ კლინიკებში ფატალური შემთხვევები სულ უფრო რეზონანსული ხდება

მთავრობის მიერ შექმნილი „მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო“ დიდი ხანია არსებობს, თუმცა მუშაობა ჯერ არ დაუწყია

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 17.7 პროცენტით გაიზარდა — ვიზიტორები ძირითადად 31-50 წლის არიან

ISSN 1987-9385

3 ქაჩა ქალაძე: „ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ 17 მაისს უსაფრთხოება დაცული იყოს“

4 „ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკა კონცეპტუალურად არის შესაცვლელი“

5 დასავლეთი რუსეთს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკან ახევინებს?

4 გიორგი კვირიკაშვილი: „დღეიდან 3 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაორმაგოთ სპორტულ აქტივობებში ჩართულ ადამიანთა მაჩვენებელი“

„ქართულმა ოცნებამ“ მიცვალებულებს წამოჯდომის უფლება მისცა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლება ჩვენს გაოცებას განაგრძობს. ახმეტაში, ხაშურში, ხელოსა და იყალთოში მეტროების აღმოჩენის შემდეგ, წესით, თვითმმართველობებს ეხი ველოსიპედით უნდა გაეჯვირებინათ, მაგრამ ამათ ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონია.

ზუგდიდის საკრებულოს გადაწყვეტილებამ ყველაფერი გადაფარა. საქართველო, რომელიც 12-13 მაისს საშოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე იდგა, ახლა მხოლოდ მიცვალებულთა მჯდომარე მდგომარეობაში დაკრძალვის წესზე საუბრობს.

ეს წესი ზუგდიდის საკრებულომ დაადგინა და ამით დაამტკიცა, რომ აქ ნარკოტიკის თუ არა, სხვა რამე დასაბოლოებელი საშუალების ლეგალიზება უკვე მოხდა. აბა, ფიზიელი ადამიანი ასეთ რამეს ნამდვილად ვერ მოიფიქრებდა.

არის სხვა ვარიანტიც – შესაძლოა, ზუგდიდის საკრებულოს რომელიმე ექსპერტმა აუხსნა, რომ წამოწოლილ მიცვალებულს შესაძლოა ნაწოლები გაუჩნდეს. სხვა ექსპერტმა აღბათ ის თქვა, რომ ეგება მკვდარი ძველი ბიჭია და ჩაცუცქულ მდგომარეობაში ეამება მიწის მიყრაო.

შესაძლოა, ასეთი მესიჯები საიქიოდან მიიღეს. გონებით საააქაოს არც თავად არიან და მათი გაგება არ გაუჭირდებოდათ.

მალე ალბათ იმასაც დაადგენენ, თუ რა ტიპის სამოსი უნდა ჩაიცვას მიცვალებულმა და რა მუსიკით უნდა გაასვენონ ის. მკვდარს ალბათ სიგარეტის მოწევის უფლებასაც მისცემდნენ, მაგრამ, რადგან მიწა დახურული სივრცეა, გუგული მაღრაძეს ხათრს ვერ გაუტეხენ. ამ უკანასკნელმა სასწრაფოდ რამე უნდა მოიფიქროს, თორემ მისი პერსონა სერიოზულ ჩრდილში მოექცა.

გადაწყვეტილება, რომელმაც საქართველოს ყველაფერი დაავიწყა, ზუგდიდის საკრებულომ მიმდინარე წლის 4 მაისს მიიღო.

საკრებულოს დადგენილებით, საფლავის სიღრმე არ უნდა იყოს 1.2 მეტრზე ნაკლები, ხოლო გარდაცვლილის მჯდომარე მდგომარეობაში დაკრძალვისას – არანაკლებ 1 მეტრისა.

იმავე დადგენილების თანახმად, რომელიც სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესებს განსაზღვრავს, ყოველ საფლავზე გამოიყოფა 12 კვ.მ (3X4) ფართობის ტერიტორია, რომლის საფასური 60 ლარია. ზღვრული ნორმის ზევით გამოსაყოფ ყოველ კვადრატულ მეტრზე დამატებითი საფასური 20 ლარი იქნება.

მართალია, წივილ-კივილი ზუგდიდის საკრებულოს დადგენილებას მოჰყვა, მაგრამ გაირკვა, რომ ასეთი დადგენილება სენაკის, ფოთის, გორისა და გარდაბნის საკრებულოებს უკვე მიღებული ჰქონიათ.

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია ამ გადაწყვეტილებაში უცნაურს ვერაფერს ხედავს. მას თუ დავუჯერებთ, მიცვალებულებს მჯდომარე მდგომარეობაშიც მარხავენ.

სად ხდება ასეთი რამე, ვერ აკონკრეტებს, უბრალოდ ამბობს, რომ ასეთი რამეები ხდება.

– ყველგან არის განსაზღვრული დაკრძალვის ფორმა. მათ შორის არის მჯდომარეც. სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანებს სხვადასხვა წესით კრძალავენ, რაც ნებისმიერ ნორმატიულ აქტში წერია. მჯდომარე მდგომარეობაში დაკრძალვა საქართველოშიც და სამეგრელოშიც არსებობდა. ჩვენ კი არ შემოვიღეთ ამ წესით დაკრძალვა, არამედ, ვისაც სურვილი ექნება, ამ ფორმით დაკრძალოს მიცვალებული, მათთვის და საერთოდ დაკრძალვის ყველა ფორმისთვის პარამეტრები მივიღეთ. ეს მიღებული აქვთ თბილისშიც, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში საკრებულოს თავმჯდომარემ.

ზუგდიდის საკრებულოს გადაწყვეტილებაზე კომენტარი ვთხოვეთ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერ კახა მიქაიას. ის კარგად იცნობს ზუგდიდის საკრებულოს შემადგენლობას და მათგან არაფერი უკვირს, მაგრამ ამ შემთხვევაში დაჯერება გაუჭირდა.

საკრებულოს იდეით აღფრთოვანებული მიქაია ასეთ კომენტარს აკეთებს:

– მჯდომარე მდგომარეობაში დაკრძალვის წესი დაადგინეს, ხომ? საკუთარი თავები როგორ უნდა დაიმარხონ ნეტა? მე ორ ვარიანტს შევთავაზებდი. წელს ქვევით მიწა მიიყარონ და წელს ზევით ახლობლებმა „გადაკრასკონ“ ბრონზით. ასე ქოცების საინტერესო პანთეონს მივიღებთ.

მათ შეუძლიათ, მეორე პოზაშიც დაიმარხონ თავი – სირაქლემის პოზაც ჰგავს მჯდომარე მდგომარეობას. ამ შემთხვევაში შეუძლიათ, თავი საჯდომად გამოიყენონ, ტვინი მაინც არა აქვთ.

„დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ხელისუფლებას ერთ იდეასაც სთავაზობს. მისი თქმით, დროა, საქართველოში სავარძელი-კუბოების წარმოება დაიწყოს.

– იმისთვის, რომ მიცვალებული მჯდომარე მდგომარეობაში დაკრძალოს, მხოლოდ წესის დადგენა არ არის საკმარისი. საჭიროა სპეციალური ჭურჭელი, სადაც უნდა მოხდეს მიცვალებულის ჩასვენება. სტანდარტულ კუბოში მიცვალებული ვერ დაჯდება, ამიტომ სასწრაფო წესით უნდა დაიწყოს სავარძელი-კუბოების წარმოება, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში კახა მიქაია.

„დაიცავი საქართველოს“ ლიდერს ზუგდიდის საკრებულოს გადაწყვეტილებამ რაღაც ეჭვებიც გაუჩინა. მისი აზრით, ხელისუფლების წარმომადგენლები ამ შემთხვევაშიც საკუთარ თავზე ზრუნავენ.

– ეს ხალხი ძალიან მიეჩვია სკამსა და სავარძელს, ჰგონიათ, რომ სიკვდილის შემდეგაც თანამდებობა ექნებათ. თანამდებობის ქონა სავარძელში ჯდომას გულისხმობს, წამოწოლილი ხომ ვერ იქნებიან პოსტზე? ამიტომაც მოიფიქრეს მჯდომარე მდგომარეობაში დაკრძალვის წესი, – ასეთია „დაიცავი საქართველოს“ ლიდერის შეფასება.

* * *

ჩვენს თვითმმართველობებს, ეტყობა, ძველეგვიპტური და ძველინდური დაკრძალვის წესის შესახებ არაფერი სმენიათ, თორემ მერე გენახათ ხალხის ცოცხლად ჩაყოლება საფლავში.

და ცუდი არ იქნება, თუ საკრებულოების დადგენილებებს კარგად შევისწავლით, ემანდ რამე უცნაური წესი არ ჰქონდეთ მიღებული. თავიანთ დადგენილებებს ძირითადად აკოპირებენ და, არ არის გამორიცხული, რამე დადგენილება ძველ ეგვიპტელებს ან რომაელებს მოჰპარონ.

„ნატოში შესვლა თუ გვინდა, გერმანიასთან მუშაობაა საჭირო“

ნათია ხურცილავა

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საერთაშორისო არენაზე საქართველოს პერსპექტივებზე საუბრობს.

– ბატონო თორნიკე, უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ პრეზიდენტმა და პრემიერმა განაცხადეს, რომ ბრიუსელში ნატოს სამიტზე ერთიანი პოზიციით უნდა გამოვიდეთ და ნატოში წევრობის გზაზე საქართველოს პროგრესის ადეკვატური ასახვა მოვითხოვოთ. რა შეიძლება ადეკვატური ასახვა იყოს?

– თუ რამეს ახალს მოიგონებენ, მოიგონონ, მაგრამ ჩვენ ამ ეტაპზე მაპი გვჭირდება. მაპს კი ჯერ არ გვაძლევენ. ახალ პროგრამას თუ მოიგონებენ, რომელიც ტექნიკური სტანდარტით უფრო დაგვაახლოებს ნატოსთან, ცხადია, ეს ცუდი არ არის. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ნატო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს და საქართველოს ნატოში იღებს. პოლიტიკური გადაწყვეტილება არის მაპის მოცემა, ეს არის საქმე.

– მაპთან დაკავშირებით ბევრი ინსინუაცია იყო, რომ მაპის გარეშე შეგვიძლია წევრი გავხდეთ. რეალურად მაპის გარეშე თუ შეიძლება ნატოს წევრი გახდეს სახელმწიფო?

– ნატოს სამიტის მიერ მიღებულ ბოლო კომუნიკეში ჩაიწერა, რომ მაპი გასაწევრიანებლად აუცილებელ ინსტრუმენტად რჩება. როდესაც საუბრობენ იმაზე, რომ მაპი აღარ გვჭირდება, როგორც ჩანს, გულისხმობენ იმას, რომ კომუნიკეში ასევე ჩაიწერა, რომ საქართველოს გაწევრიანების ყველა ინსტრუმენტი აქვს. თუმცა, როგორც გითხარით, მაპი არის აუცილებელი გზა წევრობისთვის.

– თუმცა, გამონაკლისიც ხომ იყო?

– არა. კი გვინდა, მაგრამ მაპის გარეშე არა მგონია, გაწევრიანება მოხდეს.

– ბრიუსელის სამიტზე სახელმწიფოს მოთხოვნა, რომ ჩვენ გვინდა მიღწევების ადეკვატური ასახვა მოხდეს, რა როლს შეასრულებს, ნატოს სახელმწიფოებისგან ადეკვატურ გამოხმაურებას უნდა ველოდოთ?

– თუ ჩვენს მთავრობას ნატოს სახელმწიფოების გადარწმუნება უნდა, მაშინ, პირველ რიგში, გერმანიასთან უნდა იმუშაოს. ჩვენ ვიცით, სკეპტიკოსი ქვეყნების განწყობა როგორია, გერმანია არის პირველ რიგში ჩვენთვის მაპის მოცემის წინააღმდეგი. ამიტომ, მთავრობა თბილისში კი არ უნდა შეიკრიბოს ან ბრიუსელში და ნატოს გენერალურ მდივანს კი არ უნდა ელაპარაკოს, გერმანიის დედაქალაქში უნდა ჩავიდეს და გერმანიის მთავრობას, პოლიტოლოგებს, ჟურნალისტებს ელაპარაკოს, ვინც საზოგადოებრივ აზრს ქმნის. უშუალოდ ბერლინშია სამუშაოები ჩასატარებელი და არა ბრიუსელსა და თბილისში. სხვათა შორის, არც ვაშინგტონში, რადგან ვაშინგტონი არ წყვეტს, თუ როგორი უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკა.

– თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებს ხომ აქვს გარკვეული გავლენები ნატოში?

– გადამწყვეტი არა. ეს გამოჩნდა თუნდაც ბუქარესტის სამიტზე 2008 წელს. ვაშინგტონის პოზიცია არ იყო გადამწყვეტი, გერმანიამ დაიფიქსირა თავისი პოზიცია და არ შეცვალა. ამით ხომ ყველაფერი ნათქვამია. ამიტომ სამუშაო არის ბერლინში, სერიოზული სამუშაო.

– როდესაც ნატო გვეუბნება, რომ პროგრესი ერთმნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველა მექანიზმი გვაქვს გაწევრიანების გზაზე, მაგრამ შედეგი არ ჩანს, ეს ჩვენს საზოგადოებაში იმედგაცრუებას ხომ არ გამოიწვევს?

– ფაქტია, რომ გარკვეული იმედგაცრუება უკვე არის ჩვენს საზოგადოებაში. ამას ბოლო სოციოლოგიური კვლევებიც ადასტურებს. გაწევრიანების მომხრეთა პროცენტული მაჩვენებელი მცირედით, მაგრამ მაინც დაკლებულია. ამაზე სერიოზულად უნდა იფიქროს მთავრობამ, თუ როგორ უშველოს ამ განწყობას.

ამისთვის ხელისუფლებამ არ უნდა შექმნას ყალბი მოლოდინები, უნდა იმუშაოს მოსახლეობასთან და აუხსნას, თუ რას ნიშნავს ნატოს წევრობა. ეს დღემდე რჩება პრობლემად, რადგან ზოგს რა ჰგონია ნატო და ზოგს – რა. ადამიანებს უნდა ავუხსნათ, რომ ნატო, ყველაფერთან ერთად, დაცულობასთან ერთად, უფრო უკეთესი ცხოვრებაა. ასევე უნდა ავუხსნათ, რომ ნატოში წევრობა კარგია, მაგრამ გაწევრიანების პროცესიც კარგია, რადგან ამ გზაზე ქვეყანა ბევრ კარგ რეფორმას გადის.

– მაპს რომ არ გვაძლევენ, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება?

– რა თქმა უნდა!

– მთავარი ფაქტორი რუსეთია?

– დიახ, სამწუხაროდ. ამას არავინ აღიარებს და ამაზე ღიად არავინ საუბრობს, მაგრამ ეს შეუიარაღებელი თვალით ჩანს.

– ნატოს არაერთ გენერალურ მდივანს აქვს ნათქვამი, რომ ნატოს გაფართოების საკითხში ვერავინ ჩაერევა გარედან და თქვენ მაინც ამბობთ, რომ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურია?

– დიახ. აქამდე მაპი რომ არ მოგვცეს, ეს ცალსახად პოლიტიკური გადაწყვეტილებაა ნატოს მხრიდან.

– თუმცა, ბუქარესტის სამიტზე 2008 წელს ხომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო ოდესღაც გახდება ნატოს წევრი.

– ამიტომაც ჩაიწერა „ოდესღაც“, რომ არ იცოდნენ, როდის დადგება ეს რეალობა. ამ მომენტს ელოდებიან ისინიც, ჩვენი მოკავშირეებიც და ჩვენც. ამის მოლოდინში ვართ.

– ევროკავშირთან დაკავშირებით საგზაო რუკის კონცეფცია განიხილეს. საგზაო რუკა შიდა რეფორმებში უნდა დაგვეხმაროს და წევრობის განაცხადამდე უნდა მიგვიყვანოს. რატომ იკავებს თავს ხელისუფლება ევროკავშირში წევრობაზე განაცხადის გაკეთებისგან?

– როგორც ჩანს, ხელისუფლება ფრთხილობს, მას არ უნდა, რომ წევრობაზე განაცხადის გაკეთებით ევროკავშირი დააფრთხოს. ეს მეთოდურად სწორი პოლიტიკაა. ევროკავშირში უზარმაზარი ბიუროკრატიული აპარატია, რომელიც ისედაც შეშინებულია ამ პროცესით, ფიქრობენ – ვაი, საქართველო არ შემოგვეტენოსო.

თუმცა, უნდა დავაფიქსიროთ, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რეფორმებს ვატარებთ საიმისოდ, რომ ევროკავშირის სტანდარტებს მივუახლოვდეთ. ბუნებრივია, რეფორმები კარგია, რაც უფრო მეტი რეფორმა გატარდება, მით უკეთესია, მაგრამ ჩვენს მთავარ პრობლემად ეკონომიკური ჩამორჩენილობა რჩება. ეკონომიკური ჩამორჩენილობის მოგვარება კიდევ უფრო რთულია, ვიდრე დემოკრატიზაციის პროცესი. თუ მთავრობა პოლიტიკურ ნებას გამოავლენს, დემოკრატიზაცია უფრო მარტივია, მაგრამ ეკონომიკური მაჩვენებლები როგორ უნდა შევცვალოთ ასე მარტივად?! ეკონომიკური გარღვევა რთულია.

– ბიძინა ივანიშვილის ყრილობაზე გამოსვლა გამახსენდა, სადაც ის ქვეყანაში დემოკრატიასა და ეკონომიკას შორის არსებულ დისბალანსზე საუბრობდა. იზიარებთ ამ შეხედულებას?

– მოდი, ასე ვთქვათ, დემოკრატიულობის თვალსაზრისით ოდნავ წინ ვართ. თუმცა, საქართველო რეიტინგებში არასდროს დასახელებულა, როგორც დემოკრატიული ქვეყანა და თავს ნუ მოვიტყუებთ.

– ნაწილობრივ – ასეთია საერთაშორისო რეიტინგებში ჩვენი ადგილი.

– ჰიბრიდულ ქვეყანათა რიგში ვართ. ეს არის საქმე. მცირეოდენი წინსვლა გვაქვს, მაგრამ ბოლო მონაცემებში წინსვლა საერთოდ არ გვაქვს. ყველაზე ობიექტური საერთაშორისო რეიტინგებია და არა – პოლიტიკოსების პოზიციები.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გახდება თუ არა ბერა ივანიშვილი „ოცნების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ქვეყანა ბიძინასა და ბიძინიჩის ხუშტურებით იმართება“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ მახთავს ჰეაღუჰად ქვეყანას, ჰა გეგმები აქვს ბეჰა ივანიშვიღს, ჰატომ უნდა გაეჰთიანდეს ახაღგაზჰიდობა, ჰაზე უნდა დაფიქჰდნენ „ქაჰთუღი მაჰშის" ნევჰები და მოფაშისტო ეღემენტები, გავღენ თუ აჰა ქუჩაში ძიუდოისტები? – ამის შესახებ „ახაღ თაობას" მონიტოჰინგის ცენტჰ „მედიატოჰის" ხეღმძღვანეღი დიმიტჰი ბიძინაშვიღი ესაუბჰება.

– თქვენ აქტიურად იდექით ძიუდოისტების გვერდით, როდესაც ისინი ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდნენ. მათი პროტესტი ახლა შეჩერებულია. ზურაბ ზვიადაური ამბობს, რომ შესაძლოა ისინიც რუსთაველზე გავიდნენ.

– აშკარაა, რომ ძიუდოს ფედერაციაში შიდა დაპირისპირებაა. მე მართლაც გულწრფელად ვედექი ამ ბიჭებს გვერდით. გვერდით ვედექი ძიუდოს და არ მინდა, რომ სპორტის ეს სახეობა შიდა დაპირისპირებას შეეწიროს.

ბოლო მოვლენებმა გამოაჩინა, რომ ან გულუბრყვილობით, ან შეგნებულად ვიღაცა შეეცადა, პროცესები შეეყვანა ჩიხში. ეს ბიჭები ჩემპიონები ტატამზე არიან, მაგრამ, კაბინეტში როცა შედიან, უკვე პოლიტიკოსები ხდებიან. მათ სერიოზული შეცდომა დაუშვეს, როცა კულტურის მინისტრთან მივიდნენ და ხელი ჩამოართვეს. მინისტრმა უთხრა, გვაცადეთ ცოტა ხანიო. ამათაც აცალეს და ამასობაში საპროტესტო მუხტიც ჩაქრა.

– მათ გამოსვლას რუსთაველზე აზრი აღარ ექნება?

– გააჩნია, როგორ გამოვლენ. მათ შეცდომა დაუშვეს, როცა მინისტრს რაღაც დრო მისცეს. ამით მათ საზოგადოებაშიც ჩააქრეს მუხტი. ამ ბიჭებს ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჰყავდა.

ახლა მათ თავიდან მოუწევთ ყველაფრის დაწყება. საპროტესტო მუხტის თავიდან აწევა რთული იქნება, რადგანაც ამ დღეებში ქვეყანაში სულ სხვა მოვლენები განვითარდა. მთავარი ყურადღება ამ თემებზეა გადასული და ძიუდო აღარავის ახსოვს.

ამ ხელისუფლებას აქვს ასეთი სენი, თუ ქუჩაში არ გამართა აქცია, კამერებში არ ისაუბრე და პროტესტის უკიდურეს ფორმას არ მიმართე, ყურადღებას არ გაქცევენ.

ქვეყანაში ძალიან ბევრი თემაა, რომლის მიმართაც საზოგადოებას პროტესტი აქვს. ხელისუფლება ცდილობს, ერთი პროტესტი მეორე თემით გადაფაროს. აქ ერთი გამოსავალია, ვისაც საპროტესტო განწყობა აქვს, ყველა უნდა გაერთიანდეს. ახლა რა ხდება? ეს ჯგუფები საკუთარ პრობლემებზე არიან ორიენტირებული და სხვისი არ აინტერესებთ.

წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ყველა ეს ჯგუფი თუ გაერთიანდება და ერთობლივად მოსთხოვენ პასუხს ხელისუფლებას. „ქართულ ოცნებას“ ძალიან დიდი ძალა დაუპირისპირდება.

ეს ძალა მმართველ გუნდს, მინიმუმ, გამოაფხიზლებს. ისინი მიხვდებიან, რომ ქვეყანაში უკვე არსებობს ისეთი საპროტესტო მუხტი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ შეცვლის.

სულ იმას ვამბობ, რომ აუცილებელია გაერთიანება და ამაზე მანამდე ვილაპარაკებ, სანამ არ მოხდება საზოგადოების გაერთიანება სხვადასხვა პრობლემის გარშემო, მაგრამ ერთი მიზნით. ხელისუფლებას უნდა შევაგნებინოთ, რომ ამ ქვეყანაში მათ გარდა სხვებიც ცხოვრობენ და მათაც უნდათ კარგი ცხოვრება. ხელისუფლების ქმედება ხალხის საკეთილდღეოდ უნდა იყოს მიმართული, ესენი კი ბერას სურვილების დაკმაყოფილებით არიან დაკავებული.

– როგორც ამბობენ, ქვეყანა ბერას გარეპილით იმართება. არადა, ბიძინა ივანიშვილს ეძახდნენ არაფორმალურ მმართველს.

– დარწმუნებული ხართ, რომ მარში და მოფაშისტო ახალგაზრდები ხელისუფლებამ გამოიყვანა?

– სხვა ვინ გააკეთებდა? ყველამ კარგად ვიცით, რომ მარშსაც და ფაშისტ ბავშვებსაც ხელისუფლება მფარველობს. ქვეყანაში, რომელსაც სპეცსამხურები ჰყავს, ვინ დაუშვებს, რომ ხალხი ერთმანეთს ნაცისტების ჟესტებით მიესალმოს. ეს ცხადყოფს, რომ მათ უკან ხელისუფლება დგას.

„ბიძინაშვილი კი ვარ, მაგრამ, არა მგონია, ბიძინასთან და ბიძინიჩთან ჩემი თანამშრომლობა შედგეს“

– მამაც არაფორმალური მმართველია და შვილიც. ახლა ნელ-ნელა გადმოდიან ფორმალურ მმართველობაში. მიკვირს საზოგადოების რეაქცია, რომელსაც ბერას გარეპილი გაუკვირდა. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ იყო.

რამდენიმე დღით ადრე მან პირდაპირ გასცა „ბასიანში“ სპეცრაზმის შეყვანის ბრძანება. საკმარისი იყო დაეწერა, რომ კლუბი მას არ ეკუთვნის და იქ სამართალდამცავები შევიდნენ.

შესვლაც არის და შესვლაც. საშინლად დაარღვიეს ადამიანის უფლებები. კლუბიდან ახალგაზრდები სულ პანჩურებით გამოყარეს. ესეც არ იკმარეს და მოახდინეს ღამის კლუბების დემონიზაცია. ისეთი სურათი დახატეს, თითქოს იქ მხოლოდ ნარკომანები და სოდომ-გომორის მომხრეები დადიან.

ეს ტყუილი არ გაუვათ. 21-ე საუკუნეა და ამ კლუბებში ყველა ვართ ნამყოფი. ვიღაც შეიძლება მართლაც იყოს კაიფში, მაგრამ უმეტესობა იქ გასართობად შედის. ეს ბავშვები ავტომატიანებმა პანჩურებით რომ გამოყარეს, იმ სტრესზე, რაც ბავშვებმა მიიღეს, ვინ აგებს პასუხს. გახარიას ბოდიში ამას არ უშველის.

ეს ყველაფერი გაკეთდა მიზანმიმართულად – ბიძინიჩმა გასცა ბრძანება და შსს-მაც ზედმიწევნით შეასრულა.

რამდენიმე დღის მერე ბერამ ისევ გარეპა და ნარკოტიკების ლეგალიზება მოითხოვა. დილით რომ ვიღვიძებთ, პირველი, რასაც ვაკეთებთ, არის ის, რომ ინტერნეტში ვიქექებით – ბერამ რამე ხომ არ გარეპა. ამის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რას უნდა ველოდოთ ქვეყანაში. ბიძინასა და ბიძინიჩის ხუშტურებით იმართება ჩვენი სახელმწიფო.

– ბიძინა, ბიძინიჩი, პოლიტიკურად ისეთი აქტუალური გვარი გაქვთ – ბიძინა შვილი, რომ შეიძლება თქვენც მიგიწვიონ ხელისუფლებაში.

– ბიძინა შვილი კი ვარ, მაგრამ, არა მგონია, ბიძინასთან და ბიძინიჩთან ჩემი თანამშრომლობა შედგეს. მათ სახელმწიფოს მიმართ სხვანაირი მიდგომა აქვთ, რაც ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია.

ჩემთვის ყველაზე მეტად მიუღებელია ჩრდილოვანი მმართველის არსებობა. მმართველობის ასეთი ფორმა სახელმწიფოს ანგრევს. ამას თავადაც კარგად ხვდებიან, მაგრამ ამაზე ცოცხალი თავით უარს არ იტყვიან.

– რატომ არ იტყვიან უარს?

– იმიტომ, რომ ასეთ ვითარებაში თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ. კომფორტში არიან მათი ახლობლები – პირდაპირ მომსხდრები არიან ბიუჯეტს. მათი მადა ნელ-ნელა გაიზარდა და ახლა ბიუჯეტიც აღარ ჰყოფნით. ბიძინასა და ბიძინიჩს სრული ძალაუფლება უნდათ.

– ძალაუფლება ხომ ისედაც აქვთ?

– აბსოლუტური ძალაუფლება უნდათ, თორემ ძალაუფლება როგორ არა აქვთ, ბიძინიჩის ერთ პოსტს ისეთი ამბები მოჰყვა, კინაღამ სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო.

12-13 მაისს ქვეყანამ გაიარა ბეწვის ხიდზე. მაინტერესებს, რას ფიქრობდა „ქართული ოცნება“, როცა ახალგაზრდების წინააღმდეგ რუსთაველზე ქართული მარში გამოიყვანა. იქ თავისუფლად შეიძლებოდა, სისხლი დაღვრილიყო.

– სისხლისღვრას სად ქადაგებდნენ?

– რუსთაველზე. პირდაპირ იძახდნენ, სიკვდილი მტერსო. ეს იყო პირდაპირი მოწოდება სისხლისღვრისკენ. ამაზე ხელისუფლებას სათანადო რეაგირება უნდა მოეხდინა. ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა და ესეც დადასტურებაა იმისა, რომ მათ უკან „ოცნება“ იდგა.

საქმე კინაღამ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანეს, მაგრამ ვითომ არაფერი. მთავარია, ბერას დავალება შესრულდა.

– ბერაზე ვსაუბრობთ და ქალაქში ხმა გავარდა, ის იქნება „ოცნების“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეო. თავიდან ხუმრობა მეგონა, მაგრამ ამბობენ, რომ ეს თემა სერიოზულად განიხილება. თქვენი აზრით, დათანხმდება ბერა ივანიშვილი ამაზე?

– რატომ არ უნდა დათანხმდეს? არაფორმალური მმართველიაო, იმას მაინც აღარ იტყვიან მაგაზე. მამა მთლიანი პარტიის თავმჯდომარე იქნება, შვილი თბილისის ორგანიზაციას უხელმძღვანელებს.

ბიძინიჩზე ვსაუბრობთ და ერთ საკითხს აუცილებლად უნდა შევეხო. რუსთაველზე გამოსულ ახალგაზრდებს ქართული მარში და შავპერანგიანი ფაშისტები ნარკომანებს ეძახდნენ. საშინლად აპროტესტებდნენ იმას, რომ ისინი ნარკოტიკების ლეგალიზებას ითხოვდნენ.

სამაგიეროდ, ხმა არ ამოუღიათ, როცა ბერა გამოვიდა იმავე მოთხოვნით. მათთან მაქვს ერთი კითხვა – ბიძინიჩის მოთხოვნით თუ მოხდება ნარკოტიკების ლეგალიზება, ასეთ შემთხვევაში ქართველობას აღარ დაკარგავთ?

მინდა, ისიც იცოდეთ, რომ ამ მარშსა და ფაშისტებში ბევრია ისეთი, ვინც ღამის კლუბებშიც დადის და პლანსაც ეწევა.

– აბა, რას აგინებენ ამ კლუბებს?

– ქართველობა რომ დაამტკიცონ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებული აზრის ადამიანების დახოცვას ითხოვენ, მე მათ მიმართ არ ვარ აგრესიული. ისინი ახლა შეცდომას უშვებენ, მაგრამ ისინიც ჩვენი მოქალაქეები არიან. მათ მეგობრულად მინდა მივცე რჩევა, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს რომ დასდევენ, ხომ შეიძლება, ისინი ქვეყნიდან გაიქცნენ და მერე ვიღას ეჩხუბებიან? ხელისუფლებისთვის საჭირო აღარ იქნებიან და დაიშლებიან.

განსხვავებული აზრის მიუხედავად, დროა, ერთმანეთის პატივისცემა ვისწავლოთ. ეს ქვეყანა ყველასია და ყველამ უნდა ვიზრუნოთ მის განვითარებაზე. ერთმანეთს თუ არ მოვუსმენთ, ისევ იმ ჭაობში დავრჩებით, რომელშიც ახლა ვართ, ვერც იმ პოლიტიკოსებს მოვიშორებთ, რომლებიც 1991 წლიდან მოყოლებული გვასხედან თავზე, ხან პოზიციად გვევლინებიან, ხანაც – ოპოზიციად. მათი დრო უნდა დამთავრდეს.

დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე: „მივმართავ ყველას, ვისაც რამე აგრესიული განწყობა აქვს, თავი შეიკავოს 17 მაისს დაგეგმილ მსვლელობაში მონაწილეობისაგან“

– მივმართავ ყველას, ვისაც რამე აგრესიული განწყობა აქვს, თავი შეიკავოს 17 მაისს დაგეგმილ მსვლელობაში მონაწილეობისაგან!

ამის შესახებ საპატრიარქოში გამართულ პრესკონფერენციაზე დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა, რომელიც 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიებებს მიეძღვნა.

მამა ანდრიას თქმით, ისინი ემიჯნებიან ყველა იმ ჯგუფს თუ ორგანიზაციას, რომელიც თავიანთ შეხედულებებს აგრესიით გამოხატავენ.

– 17 მაისთან და საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით საერთოდ შეუფერებელი რიტორიკა ისმოდა ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მხრიდან. გვინდა ხაზგასმით, ყველას გასაგონად ვთქვათ, რომ ეს მსვლელობა არ უკავშირდება რაიმე აგრესიას, არამედ ჩვენ გვინდა, რომ ნამდვილ დღესასწაულად იქცეს ეს დღე, ოჯახის სიწმინდის დღე და ამაღლების დღესასწაული.

ამიტომ მივმართავთ ყველას, ვისაც რაიმე ამგვარი განწყობა აქვს, თავი შეიკავოს ამ მსვლელობაში მონაწილეობისაგან, ასევე გვინდა მივმართოთ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს ყოველგვარი აგრესიის გამოვლენა, ან პროვოკა-

ციის, ვისგანაც და რა მოტივითაც არ უნდა მომდინარეობდეს, სწრაფად იყოს აღკვეთილი, – განაცხადა მამა ანდრია ჯაღმაიძემ.

საპატრიარქომ 17 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების განრიგის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გაავრცელა. როგორც საპატრიარქოს ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, 10:00 საათზე დაიწყება საზეიმო წირვა ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში (გარეთ დამონტაჟებული იქნება მონიტორები); 11:30 საათზე მოხდება გვარების შეკრება ფილარმონიასთან; 12:00 საათზე „ვარდების მოედნიდან“ აწყურის ღვთისმშობლის ხატით მსვლელობა დაიწყება; პარალელურად, ასევე 12:00 საათზე, წირვის დასრულების შემდეგ ქაშუეთთან დაილოცება მრავალშვილიანი (ექვსშვილიანი) ოჯახები.

– 13:00 საათზე ქაშუეთიდან შეკრებილი მრევლი შეუერთდება „ვარდების მოედნიდან“ მსვლელობის მონაწილეებს და ერთად გაემართებიან სამების საკათედრო ტაძრისკენ, სადაც დაახლოებით, 14:00 საათზე მისი უწმინდესობა დახვდება მათ, გადახდილი იქნება სამადლობელი პარაკლისი და კიდევ ერთხელ დაილოცება ერი, – ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კახა კალაძე: „ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ 17 მაისს უსაფრთხოება დაცული იყოს“

– ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ 17 მაისს უსაფრთხოება დაცული იყოს. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, შესაბამისი უწყებები უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მზად არიან.

– ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს ქალაქში ყველას აქვს თავისი შეხედულებების გამოთქმის შესაძლებლობა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ უსაფრთხოება იყოს დაცული. შესაბამისი სამსახურები მობილიზებული არიან ამისთვის. ის, რომ ადამიანებს, გარკვეულ დაჯგუფებებს აქვთ თავიანთი შეხედულებები, ნორმალური პროცესია. ეს არის დემოკრატიის ნაწილი. ასე რომ, ვერავის უფლებები ვერ შეიზღუდება, – განაცხადა კახა კალაძემ.

მამუკა გამყრელიძე: „ამ აქციებით ყველაზე მეტად ივანიშვილმა იხეირა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდის პროცესებს როგორ შეაფასებდით?

– სრულიად უმწიფარ საზოგადოებას და სრულიად უმწიფარ პოლიტიკურ პროცესებს ვადევნებთ თვალს. ეს ახალგაზრდები, რომლებშიც მართლაც სრულიად ჯანსაღი პროცესი გაჩნდა, ადამიანის უფლებების დარღვევასთან მიმართებაში, გაემიჯნნენ პოლიტიკას, თქვეს, რომ არა, ჩვენ პოლიტიკა არ გვინდა და თან ამავე დროს დააყენეს პოლიტიკური მოთხოვნები. პოლიტიკოსები ნუ მოვლენ, მაგრამ პრემიერ-მინისტრი გადადგესო. იმდენად არასწორად იყო ყველაფერი დაყენებული, იმდენად უმწიფრად იყო გაკეთებული, რომ საბოლოო ჯამში მივიღეთ ის, რაც მივიღეთ!

– რა მივიღეთ?

– სამარცხვინო შედეგი! მე ძალიან გულდაწყვეტილი დავრჩი, რომ ასე მოუწიათ გაძურწვა. ყვითელი ავტობუსებით გაიყვანეს. ყველა ცდილობდა, ყვითელი ავტობუსებისთვის შეეფარებინა თავი. ეს ძალიან სამწუხარო იყო. აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი...

– რას გულისხმობთ?

– არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი, ვერავინ გაიგო, თუ რა უნდოდათ. ზოგს უნდოდა დეკრიმინალიზაცია ამ ნარკოტიკების, ზოგს უნდოდა რაღაცა თავისუფლება ეფემერული, ზოგი გაიძახოდა, ხეებს ნუ ჭრით და ჰაერი დავასუფთაოთო. მოკლედ, არ იყო ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი. ჩემი აზრით, ეს უფრო მემარცხენე მობოლშევიკო ახალგაზრდობა იყო, სამწუხაროდ, იქ წარმოდგენილი. ჩემი შვილებიც მივიდნენ იმ აქციაზე, თუმცა ნახევარ საათში უკან წამოვიდნენ.

– რატომ?

– მითხრეს, რომ ვერ მოვისმინეთ და ვერ გავიგეთ იქ ჯანსაღი აზრი და ამიტომ იძულებულები გავხდით, წამოვსულიყავითო. შემდეგ იყო მათი თანამშრომლობა შს მინისტრთან ჩამოუყალიბებელი მოთხოვნებით, შედგა ეს შეხვედრები, თუმცა, გარწმუნებთ, ვერ მიიღებენ ვერაფერს, სამწუხაროდ.

– ამ ორივე აქციას უჩინარი ხელი მართავდაო. თქვენ რამდენად ფიქრობთ ასე?

– იყო ამაზეც საუბარი. ბიძინა ივანიშვილმა მიიღო საკმაოდ სერიოზული ბენეფიტები იმ თვალსაზრისით, რომ გიორგი კვირიკაშვილი სრულიად უმოქმედოა. როგორც ამბობენ, კვირიკაშვილსა და ივანიშვილს შორის არის გარკვეული დაპირისპირება. ივანიშვილს უნდოდა ეჩვენებინა, ვინ არის სახლში ბატონ-პატრონი. ასევე არის დაძაბულობა კალაძესა და ივანიშვილს შორის და კალაძესაც ძალიან მწარედ მიარტყეს. ამ ფონზე ივანიშვილმა დაიწერა სერიოზული ქულები. აჩვენა, რომ ის არის მმართველი.

– ამ პროცესების პარალელურად ინტერნეტში გამოჩნდა ბერას კლიპი, ეს რა მესიჯი იყო და რისი თქმა უნდოდა?

– მე ბერას კლიპს ვერ ვაკავშირებ ამ პროცესთან. არა მგონია, რომ ამ ადამიანს რამე კავშირი ჰქონდეს ნარკოტიკებთან მიმართებაში. მე მაინც ვფიქრობ, რომ ივანიშვილის ოჯახის ასეთი დამოკიდებულებით ისინი ამომრჩევლებს შეიძენენ ამ ახალგაზრდების სახით. ეს ნამდვილად ჩანს. მე ყველაზე მეტად შემაშფოთა იმან, რომ აშკარად მართული, ძალიან არასასიამოვნო ფაშისტური ძალა გამოჩნდა.

– კონტრაქციის მონაწილეებს გულისხმობთ?

– დიახ. მართალია, ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასასიამოვნო იყო დანახვა იმისა, რომ ჯანსაღი, სპორტსმენი, კუნთმაგარი ბიჭები ორგანიზებულად შეკრებილები და მოყვანილები იყვნენ. როგორც კორცხელში და როგორც სხვა ადგილებში, ალბათ ამას სუსი აკეთებდა.

ძალიან სერიოზული საშიშროებაა ეს თავად სახელმწიფოსთვის. ასეთი ჯგუფები უმართავები ხდებიან ხოლმე და შემდეგ ბუმერანგივით შეიძლება შემოუტრიალდეს სახელმწიფოს. ამიტომ მე ცოტა ფაქიზად მოვეკიდებოდი ამ საკითხს.

– ითქვა ისიც, რომ შოუს მთავარი გმირი იყო შს მინისტრი გიორგი გახარია, რომელმაც საზოგადოების თვალში სერიოზული ქულები ჩაიწერა. უკვე უმზადებენ მას სავარძელს ხან პრემიერის რანგში, ხან – პრეზიდენტის.

– მე როგორც ვხედავ, კვირიკაშვილი უკვე გამზადებულია წასასვლელად, ვიღაცა ხომ უნდა დაინიშნოს მის ადგილზე?! გახარია ალბათ საუკეთესო ვარიანტია ამ შემთხვევაში, მაგრამ ივანიშვილმა მასზეც მოიპოვა გარკვეული უპირატესობა.

რისთვის შეიკრიბა ეს ახალგაზრდობა? შეიკრიბა ძალადობის წინააღმდეგ. ვინ გადაამეტა ძალას? მე ხომ არ გადამიმეტებია, გადაამეტა პოლიციამ და შს მინისტრმა. როგორც ვხედავთ, ჩვენ გარკვეული სახით შეიძლება ამ საკითხით პედალირება, რომ შენ აი, ასეთი შეცდომები გაქვს ჩადენილი საზოგადოებასთან და ხმას ნუ აუწევ. მოკლედ, ყველა მიმართულებით ივანიშვილმა მიიღო ბენეფიტები.

– თქვენ აცხადებთ, რომ ივანიშვილი კვირიკაშვილს გაუნაწყენდა, რომ კვირიკაშვილი გამზადებულია წასასვლელად. რა შეეშალა კვირიკაშვილს ივანიშვილთან?

– ჩემი აზრით, კვირიკაშვილზე დასავლეთი ფსონს დებს, როგორც მისაღებ კანდიდატურაზე და კვირიკაშვილის ასეთი დაახლოება დასავლეთთან და ამერიკელებთან, ძალიან არ მოეწონა ივანიშვილს. ასევე კვირიკაშვილის გუნდი ფინანსურად გაძლიერდა, ცდილობენ დამოუკიდებელ თამაშს და ეს ყველაფერი ივანიშვილს არ მოსწონს. ის ხომ ბოლომდე არავის ანიჭებს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

კალაძესთან ვიცით, რა პრობლემებიც აქვს. მას ჰყავს საკმაოდ ძლიერი ჯგუფი პარლამენტში და ეს ივანიშვილს აღიზიანებს. მოკლედ, ივანიშვილი იბრძვის თავისი პოზიციების გასამყარებლად და ჯერჯერობით ძალიან წარმატებულად.

– როდის უნდა ველოდოთ ცვლილებებს მთავრობაში, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თუ მანამდე?

– ალბათ არჩევნების შემდეგ. მე არ დავასუსტებდი ხელისუფლებას ახალი პრემიერის მოყვანით. თუმცა შესაძლოა, პირიქით იყოს, პიარ თვალსაზრისით კვირიკაშვილი გაუშვას და მოიყვანოს გახარია.

გახარიამ, ერთი მხრივ, შეიძინა ტაშისმკვრელები, რომლებსაც მოეწონათ მისი კონსტრუქციული პოზიცია ახალგაზრდობასთან, მეორე მხრივ, ძალიან ბევრი გაანაწყენა, როგორ მოიხადა შს მინისტრმა ბოდიში ვიღაცა ნარკომანებთან და ჰომოსექსუალებთანო. ამიტომ ეს არის ჯოხი, რომელსაც ორი ბოლო აქვს და საიდან შემოატრიალებს მერე ამას ივანიშვილი, ჩვენ ამ ყველაფერს დავინახავთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ მას გახარიაც მართული ეყოლება.

– ჯგუფი, რომელმაც ეს აქციები წამოიწყო, დაუკავშირეს მიხეილ სააკაშვილს. ითქვა, რომ სწორედ მისგან იმართებოდნენ. რამდენად იმართებოდა ეს ჯგუფი ნაციონალებისგან?

– აბსოლუტურად გამორიცხულია! იქ იყო მემარცხენე ახალგაზრდობა, რომლებსაც ნაციონალების გაგონებაზეც კი ტანზე აყრის. ეს სრულიად გამორიცხულია. ეს არის ყურით მოთრეული ამბავი, ეს ჯგუფი ნაციონალებთან ვერ ძოვს.

გიორგი კვირიკაშვილი: „დღეიდან 3 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაორმაგოთ სპორტულ აქტივობებში ჩართულ ადამიანთა მაჩვენებელი“

დღეიდან 3 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაორმაგოთ სპორტულ აქტივობებში ჩართულ ადამიანთა მაჩვენებელი, – პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, უმაღლესი პრიორიტეტი ხდება.

– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და შესაბამისი ინფრასტრუქტურული მზაობა ქვეყანაში გახდეს ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. დღეიდანვე ვიწყებთ მუშაობას, რათა უმოკლეს პერიოდში მოხდეს, როგორც ცალკე მდგომი, ასევე განათლების სისტემაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შეფასება. ჩვენ უმოკლეს პერიოდში შევაფასებთ არსებულ საჭიროებას, რა ტიპის ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას ქვეყანაში, ევროპული სტანდარტის მიხედვით, მოსახლეობის კონკრეტულ რაოდენობაზე გათვლითა და გეოგრაფიული განაწილებით, რათა მივიღოთ გეოგრაფიულად სწორი განშლა და ხელმისაწვდომობა.

რაც შეეხება ფინანსურ ხელმისაწვდომობას, რა თქმა უნდა, ჩვენ ეს ინფრასტრუქტურა უნდა გავხადოთ ხელმისაწვდომი მთლიანად მოსახლეობისთვის, მათ შორის – ეკონომიკურად შეჭირვებული ფენებისთვის. ამიტომ, შემუშავდება ამ ინფრასტრუქტურის მართვის, სუბსიდირების სპეციალური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება, როგორც სპორტულგამაჯანსაღებელი, ასევე – სოციალური კუთხით, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის დავალების შესაბამისად, არსებული ინფრასტრუქტურისა და საჭიროებების შეფასება ერთი თვის ვადაში უნდა დასრულდეს. სამუშაო ჯგუფი აღნიშნულ საკითხზე უახლოეს დღეებში შეიკრიბება. მას შემდეგ, რაც დროში გაწერილი გეგმა მომზადდება, პრიორიტეტები თვისობრივად სხვა დონეზე სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება.

– მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების მანძილზე საქართველოში სპორტსმენებისა და სპორტში ჩართული ადამიანების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჯერ კიდევ, სპორტული აქტივობების მიხედვით, საქართველოში საშუალო ევროპული მაჩვენებლის ნახევარიც არ არის. ეს მაჩვენებელი დღეიდან 3 წლის განმავლობაში უნდა გავაორმაგოთ და ევროპულ მაჩვენებელს მივუახლოოთ. ეს არის ჩვენი გეგმა, რომელიც უმოკლეს პერიოდში დაიდება. ქვეყანაში შეიქმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის შესაქმნელი კაპიტალური დანახარჯები, არამედ ეს აისახება მათ შორის სოციალურ მუხლებში, რათა ადამიანებმა შეძლონ ამ ინფრასტრუქტურით სარგებლობა, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის განცხადებით, ამ საკითხზე უკვე ბევრი აქვს ნამუშევარი ზოგიერთ უწყებას, მათ შორის თბილისის მერიას, სპორტისა და კულტურის, განათლების სამინისტროებს, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, კარგი ინიციატივები აქვთ მომზადებული ცალკეულ ფრაქციებს, კერძოდ ფრაქციას – „ქართული ოცნება – ძლიერი საქართველოსთვის“ და ა.შ.

– ჩვენი მიზანია, ერთიან კონტექსტში მოვიყვანოთ ეს, მართვის ერთიანი მოდელი, ერთიანი კონცეფცია ჩამოვაყალიბოთ, როგორ უნდა იმართოს ეს ინფრასტრუქტურა. დღეს ეს ყველაფერი ძალიან გაბნეულია. ჩვენი ინფრასტრუქტურის 80% სახელმწიფოს ხელშია, მხოლოდ 20%-ია კერძო და ჩვენ ამ ინფრასტრუქტურის ერთიანი მართვის მოდელზეც უნდა ჩამოვყალიბდეთ.

ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ცნობილი ადამიანების ჩართულობა, კამპანია, კონკრეტული აქტივობები, მათ შორის ყოველ შაბათ-კვირას და, რა თქმა უნდა, ბიზნესის, საქმიანი წრეების ჩართულობა ამ უდიდესი გეგმის განხორციელებაში უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნება. ეს საკითხი ხდება ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, უმაღლესი პრიორიტეტი, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

კომერსანტი

„ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკა კონცეპტუალურად არის შესაცვლელი“

– ქვეყანაში კონცეპტუალურად არის შესაცვლელი ეკონომიკური პოლიტიკა. საგრანტო ფონდის შექმნის ინიციატივას, ბუნებრივია, ვეთანხმებით და მივესალმებით ყველა ინიციატივას, რომელიც ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებას უკავშირდება, განსაკუთრებით, თუ მთავარი სამიზნე მცირე და საშუალო ბიზნესი იქნება, – განაცხადა ბიზნესომბუდსმენის მოადგილე ლევან კალანდაძემ რადიო კომერსანტის გადაცემაში „კომერსანტის თემა“.

ლევან კალანდაძემ შეაფასა საკრედიტო საგრანტო მექანიზმის შექმნის ინიციატივა. მისი თქმით, ეს ინიციატივა მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებზე.

– მცირე და საშუალო ბიზნესის ნომერი პირველი გამოწვევა საქართველოში საკრედიტო და ფინანსურ რესურსებზე წვდომა წარმოადგენს. თუ გვინდა, რომ მივაღწიოთ ბიზნესგარემოს მიმზიდველობას, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გარეშე ეს შეუძლებელია.

აღნიშნული ინიციატივა ოპტიმალურად უნდა განხორციელდეს, სამთავრობო სექტორთან ერთად შემუშავების პროცესში და სამომავლოდაც, მაქსიმალურად უნდა ჩაერთოს მცირე და საშუალო ბიზნესი, რადგან ეს სექტორი ყველაზე კარგად ხედავს რეალურ საჭიროებებს. ამასთანავე, ვფიქრობთ რომ აქტიურად უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო, დონორი პარტნიორი ორგანიზაციები. ჩვენ შეგვიძლია ფონდის მეშვეობით სამმხრივი ინტერესების შეთანხმება შევძლოთ, რაც გულისხმობს, სახელმწიფოს, ბიზნესისა და საერთაშორისო ინსტიტუტების ინტერესთა თანაკვეთას, რომელიც იქნება შედეგზე ორიენტირებული, – ამბობს ლევან კალანდაძე.

ბიზნესომბუდსმენის მოადგილის განმარტება:

– უნდა იყოს გამორიცხული ფონდის სოციალური კომპონენტი, რაც ნიშნავს იმას, რომ არ უნდა შევქმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ფონდი დაეხმარება ბიზნესსექტორს პირდაპირი მნიშვნელობით. აქ დახმარებაზე არ არის საუბარი, დაფინანსდება მხოლოდ საუკეთესო და მომგებიანი ბიზნესპროექტები. მკაცრად უნდა განისაზღვროს ფონდის მიმართულებები.

ლევან კალანდაძის თქმით, ფონდის მთავარი მიზანი საუკეთესო ბიზნესპროექტების დაფინანსებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახალ რეფორმაზე იწყებს მუშაობას. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და აღნიშნული სეგმენტისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობა საკრედიტო საგრანტო მექანიზმის დანერგვას აპირებს. საგრანტო ფონდი კომერციული ბანკებისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ აღებული სესხების უკან დაბრუნების გარანტორად გამოდის.

კომერსანტი

დასავლეთი რუსეთს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკან ახევინებს?

რა გაახმოვანა მოლდოვის პრეზიდენტმა

მარიამ მჭედლიშვილი

ახ ახის გამოხიცხული, ხუსეთის მახცხი სხვადასხვა ფჩონტზე და დასავლეთის მიეჩ გაძლიეჩებული ზენოლა მოსკოვზე აფხაზეთსა და ცხინვალის ჩეგიონზე პოზიტიუჩად აისახოს.

ამაზე მინიშნება ექსპერტებმა მოლდოვის პრეზიდენტის საჯარო განცხადებებში დაინახეს. იგორ დოდონი რუსეთის ინტერესების გამტარებლად ითვლება, თუმცა მის ბოლოდროინდელ გზავნილებში გახმოვანდა დასავლეთის პოზიცია.

ექსპერტების დასკვნით, პოლიტიკასა და პოპულიზმში გაწაფულ მოლდოვის პრეზიდენტს უნებურად არ წამოსცდებოდა მივიწყებული აფხაზეთი და „სამხრეთი ოსეთი“. მან საქართველოს ეს კონფლიქტური მხარეები ყირიმის, დონბასისა და დნესტრისპირეთის გვერდით მოიხსენია და ეს თემები რუსეთსა და დასავლეთს შორის ნაყოფიერი მომავალი თანამშრომლობის საგნად აღიარა.

პოლიტიკური წრეების განსაკუთრებული გაოცება გამოიწვია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ხსენებამ იმ დროს, როცა მსოფლიოში ეს კონფლიქტები გაყინულად მიიჩნევა, რუსეთმა კი მათი დამოუკიდებლობა ცნო და მათი ოკუპაცია მოახდინა.

დნესტრისპირეთში განსხვავებული სიტუაციაა – კიშინიოვი ტირასპოლთან სამთავრობო დონეზე თანამშრომლობს. სხვა ვითარებაა ყირიმსა და დონბასში. მიუხედავად ამისა, დოდონმა ყველა პრობლემა ერთად ახსენა. ქვეტექსტი ასეთია – ამ სფეროში დათმობის სანაცვლოდ დასავლეთი რუსეთის მიმართ უკეთესად განწყობა.

ბოლო დროს კრემლი აქტიურად ცდილობდა სოხუმისა და ცხინვალის თბილისთან დაპირისპირებულ მხარეებად წარმოჩენას. რუსეთს დიდი ხანია უნდა, ამ მიზნით ხელი შეუწყოს თბილისის დიალოგს მათთან და ამით მიჩქმალოს თავისი, როგორც ოკუპანტისა და კონფლიქტის მხარის, როლი. გავრცელებული ინფორმაციით, ჟენევის მოლაპარაკებებზე ამ მცდელობას აშშ შეეწინააღმდეგა.

შექმნილ პირობებში, შესაძლოა, საქართველოსა და მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობა უკრაინამდე დადგეს დღის წესრიგში.

კონფლიქტების თემას ეხება ამერიკელი საზღვაო ძალების კაპიტანი ჰარი ტაბახი. აფხაზეთის, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტებს იგი

დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის გვერდით ახსენებს და აცხადებს, რომ ამ საკითხების, ასევე უკრაინის პრობლემების მოგვარება დროს მოითხოვს.

რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის ზეწოლა არ ნელდება. ამას უნდა მოჰყვეს კრემლის უკანდახევა სხვადასხვა სფეროში.

ბრიტანეთის უსაფრთხოების სამსახურის გენერალური დირექტორი ენდრიუ პარკერი აცხადებს, რომ რუსეთის აგრესიული და დამღუპველი მოქმედებები მას საერთაშორისო იზოლაციამდე მიიყვანს.

მისი თქმით, ბრექსიტის მიუხედავად, ბრიტანეთისა და დანარჩენი ევროპის უსაფრთხოების სამსახურები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. მათთვის რუსეთი ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა.

პუტინს პოზიციები ქვეყნის შიგნით კიდევ უფრო შეუსუსტდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი სომხეთია. რუსეთის სამხედროებს არ სჯერათ დაპირებებისა, რომ ერევანი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს არ დატოვებს და რუსეთის ორბიტაზე დარჩება. ისინი დარწმუნებული არიან, რომ რუსეთი დაკარგავს სამხედრო ბაზას სომხეთში. ეს ზრდის რუსეთში სამხედრო გადატრიალების შანსს.

„აფხაზეთიდან ჩამოსულ აფხაზებს საქართველოში უფასოდ მკურნალობენ, ქართველებს — არა“

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ოკუპირებული აფხაზეთიდან ჩამოსული მოქალაქეების ეთნიკური ნიშნით დაყოფა ხდება იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზის მკურნალობა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, ქართველის მკურნალობა კი – არა.

– ეთნიკური ნიშნით რატომ უნდა ხდებოდეს ადამიანების დაყოფა? რატომ არ უნდა უმკურნალო უფასოდ ოჩამჩირიდან ჩამოსულ ქართველს მაშინ, როცა 25 წელია ოკუპაციის პირობებში იქაურობა შეინარჩუნა. ქართველობა შეინარჩუნა, სახლ-კარი შეინარჩუნა, იმიტომ, რომ ქართველია? ვკითხულობ, ქართულმა სახელმწიფომ უფასოდ რატომ არ უნდა უმკურნალო? თუ ამ კითხვაზე ვინმე კვალიფიციურ პასუხს გამცემს, მე ბოდიშს მოვიხდი, – აცხადებს მამუკა გვაძაბია.

– ბატონო მამუკა, არსებობს პროექტი, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის უფასო სამედიცინო დახმარებას ითვალისწინებს. არაერთხელ გახმაურებულა ინფორმაცია, რომ ვთქვათ, აფხაზეთიდან თბილისში აფხაზები სამკურნალოდ ჩამოდიან. ამას წინათ გადავაწყდი ინფორმაციას, რომ ექიმებიც იყვნენ თბილისში ტრენინგზე. მათთვის რომელიღაც უცხოურ ქვეყანას (მგონი ჰოლანდიას) უნდა გადაეცა თანამედროვე ტიპის რეანიმობილი და მოთხოვნა იყო, თბილისში დატრენინგებულიყვნენ, მაგრამ ეს ფაქტი გახმაურდა და აფხაზმა სეპარატისტებმა ერთგვარი პროტესტი გამოთქვეს. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს?

– ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ეს არის როგორც ჰუმანიტარული, ასევე პოლიტიკური საკითხი. როგორც აფხაზეთიდან დევნილი, ამ ქვეყნის მოქალაქე და პატრიოტი, იმ პროცესს, რომ ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს (მხედველობაში ეროვნებით აფხაზები მყავს მხედველობაში) სახელმწიფოს მხრიდან დახმარება რომ უნდა გაეწიოთ, სწორი პოლიტიკაა. თითქმის 10 წელია ეს პოლიტიკა ტარდება და დღესაც ეს პოლიტიკა ტარდება და სწორია, რაც საკითხის დადებითი მხარეა.

– პოლიტიკური საკითხი რატომ არის?

– პოლიტიკური საკითხი ჰუმანიტარული საკითხის შემადგენელი ნაწილია. მეც მაქვს ინფორმაცია, რომ სხვადასხვა კლინიკებში სამკურნალოდ ჩამოდიან ჩვენი აფხაზი თანამოქალაქეები. როცა ვამბობ ჩვენი აფხაზი მოქალაქეებიმეთქი, ამ შემთხვევაში შეგნებულად ცოტა მიამიტური ვიქნები.

– რა არის ამაში მიამიტური?

– იურიდიულად ასეა, მაგრამ რეალურად, უცხოეთში რომ მიდიან, აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებად თავს არ მიიჩნევს. გასულ წელს თბილისში ვნახე მანქანა, სეპარატისტული ნომრებით თავისუფლად დადიოდა. ამის თაობაზე შს ორგანოებსაც შევატყობინე. შემდეგ პოლიციის უფროსის მოადგილემ დამირეკა, თქვენი ინფორმაცია მიღებულია, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მომხდარა, არაღიარებული სეპარატისტული რესპუბლიკის ნომრებით დასეირნობდნენ თბილისის ქუჩებში.

შემდეგ დავინტერესდი და გავიგე, რომ აფხაზეთიდან ჩამოდიან არაღიარებული რესპუბლიკის პასპორტებით, ანუ არაღიარებული რესპუბლიკის პასპორტი აღიარეს.

– იქნებ ეს აღიარება კი არ არის, არამედ ერთგვარი დათმობა იმის ფასად, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწიოთ სამედიცინო დახმარება და ვითარება დარეგულირებისკენ წავიდეს?

– ვითარების დარეგულირებისკენ წასვლის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს, არავითარი შედეგი არ არის. ამას ტკივილით ვამბობ. ჩასაფრებულის პოზიციიდან არ ვლაპარაკობ. ვამბობ იმას, რაც მე მტკივა. თუ სანომრე ნიშნები და პასპორტები ვაღიარეთ, თუ სხვა რაღაცები ვაღიარეთ, მაშინ ეს იქნება არაღიარების პოლიტიკის საწინააღმდეგო პოლიტიკა.

– ჩვენი პოზიტიური დამოკიდებულება მათ მიმართ, ჩვენი სახელმწიფო მათ დახმარებას რომ უწევს, ეს მათ განწყობაზე გავლენას არ ახდენს?

– ახალ თაობასთან ინტერვიუებში არაერთხელ მითქვამს, რომ ეთნიკურად აფხაზურ საზოგადოებაში არიან პიროვნებები, რომლებიც ჩვენსკენ იყურებიან. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ცენტრი არაადეკვატურ პოლიტიკას ატარებს, არაადეკვატურად აფასებს ომის დაწყებას, მათ თავიანთი შეხედულებების გაღვივების საშუალება არ აქვთ.

ამის კონტრარგუმენტს გეტყვით, ერთს მეც დავეხმარე მისვლა-მოსვლაში. მერე, როცა ჩავიდა ოჩამჩირეში, იქ ერთ-ერთ იქაურ გაზეთში ინტერვიუ გაუკეთებია, თითქოს ქართული სპეცსამსახურები მას დასდევდა. მერე, როცა მას ჩვენი მეგობრები დაუკავშირდნენ, ეს რატომ გააკეთეო, განაცხადა, მაიძულეს, რომ ასე მეთქვაო.

– თუკი ის ოჩამჩირელი სეპარატისტებმა აიძულეს, ასე ეთქვა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თვითონ ის პიროვნება სეპარატისტებისნაირად ფიქრობდა?

– მესმის. ეს მაგალითად მოვიყვანე, თორემ მის სინდისზე იყოს, როგორ ფიქრობდა. აქ მას არაფერი დაკლებია, დიდი დახმარება გაუწიეს, გამრუდებული ფეხი გაუსწორეს, ფეხზე დააყენეს და ისე გაუშვეს.

აფხაზეთიდან ჩამოსულ მოქალაქეებს ყველა კლინიკა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად ემსახურება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. ამ კლინიკებს მადლობას ვუხდი. თუმცა, მე ვნახე ე.წ. აფხაზური პასპორტები, რომლებსაც ეს კლინიკები აფიქსირებენ და პირადობის დოკუმენტებად ღებულობენ.

– რომ არ მიიღონ მათი დოკუმენტები, სხვა რა საშუალებაა?

– სახელმწიფოს ვალდებულებაა, არც არაღიარების პოლიტიკის პრინციპები დაირღვეს და ისიც არ დაუშვას, რასაც აკეთებენ. აბა, სახელმწიფო რისთვის არის? რატომ ჰყავს სახელმწიფოს სამართალმცოდნეები, იურისტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და დიპლომატები? ოქროს შუალედი უნდა მოიძებნოს, რომ არაღიარების პოლიტიკა არ დავაზიანოთ. ამავე დროს იმ ადამიანებსაც აქ ჩამოსვლა შეეძლოთ. უცხოეთში რომ აღიარონ, ჩვენ რა უნდა ვუთხრათ? რაზე მწყდება გული იცით? ადამიანების დახარისხება ეთნიკური ნიშნით ხდება.

– ეს რას ნიშნავს?

– თუ ოჩამჩირიდან ქართველი ჩამოვა სამკურნალოდ, მას ჩვენი სახელმწიფო უფასოდ არ მკურნალობს, მკურნალობაში ფულს არ უხდის, თუ იგივე ოჩამჩირიდან აფხაზი ჩამოვა სამკურნალოდ, მას ჩვენი სახელმწიფო ფულს უხდის და უფასოდ მკურნალობს. ეთნიკური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია ხდება. ადამიანის უფლებების დარღვევა ხდება. აპარტეიდი სხვა კი არაფერია, რაც ეთნიკური ნიშნით ჩაგვრა. რატომ არ უნდა უმკურნალო უფასოდ ოჩამჩირიდან ჩამოსულ ქართველს მაშინ, როცა 25 წელია ოკუპაციის პირობებში იქაურობა შეინარჩუნა. ქართველობა შეინარჩუნა, სახლ-კარი შეინარჩუნა, იმიტომ რომ ქართველია? გეკითხები, ქართულმა სახელმწიფომ უფასოდ რატომ არ უნდა უმკურნალო? თუ ამ კითხვაზე ვინმე კვალიფიციურ პასუხს გამცემს, მე ბოდიშს მოვიხდი. ვერავინ ამიხსნის, რატომ ხდება ეს.

– მეც გეთანხმებით. ცხადია, ქართული სახელმწიფო ოკუპირებული ტერიტორიიდან ჩამოსულ ყველა მოქალაქის, მათ შორის, მით უმეტეს, ქართველის მკურნალობას უნდა აფინანსებდეს. სახელმწიფო როგორც აფხაზებს აფინანსებს, ასევე უნდა აფინანსებდეს ქართველებსაც და შეიძლება სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც, ვინც ჩამოვა აფხაზეთიდან თბილისში სამკურნალოდ. საინტერესოა, რატომ გააკეთეს ასე?

– ცხადია, იქიდან შეიძლება ბერძენი ან სომეხიც წამოვიდეს თბილისში სამკურნალოდ. რა მნიშვნელობა აქვს, რა ეროვნების იქნება აფხაზეთში მცხოვრები კაცი, რომელიც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, კლინიკებს მომართავს, რომ დახმარება სჭირდება, უნდა ერთნაირად დაეხმარო ეროვნების მიუხედავად. ეთნიკური ნიშნით რატომ უნდა ხდებოდეს ადამიანების დაყოფა? ეთნიკური ნიშნით დაყოფამ და აპარტეიდულმა არჩევნებმა 1991 წელს, რა მოგვიტანა, ვნახეთ. იგივე პოლიტიკის გაგრძელების მოწინააღმდეგე ვარ.

– ისე, მაგ კანონით მოხდა მაშინ აფხაზების გაჩერება. ამბობთ შედეგი ცუდი იყოო, მაგრამ ფაქტია, რომ დაპირისპირება მაშინ ჩაცხრა.

– არაფერი ჩაცხრობა არ მომხდარა. მაშინ მე მოსახლეობაში დავდიოდი, ყველა მეკითხებოდა, ეს რატომ გაკეთდა. პირიქით, ჩვენს ქართველ მოსახლეობას აფხაზეთში არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩნდა იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობის 45%-მა მიიღო 6, ხოლო 17%-მა 28 ადგილი. ეს არის ორმაგი სტანდარტებით თამაში, რომელმაც მიგვიყვანა დაპირისპირებამდე.

– ხომ არ გიცდიათ გარკვევა, რატომ არ ხდება აფხაზეთიდან ჩამოსული ქართველებისა და სხვების მკურნალობის დაფინანსება აფხაზების გარდა?

– ერთი კლინიკის წარმომადგენლებს ვეესაუბრე და მითხრეს, რომ ეს არის ცენტრალური ხელისუფლების მითითება. ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნაა, მხოლოდ და მხოლოდ დაფინანსდეს აფხაზი, ვინც აფხაზური პასპორტით მოდის. 99% აფხაზი მოდის, სამკურნალოდ, სხვა ეროვნების არავინ მინახავს ჩამოსული. ქართველი აფხაზური პასპორტითაც რომ ჩამოვიდეს, არ აფინანსებენ. უბედურება ესაა.

– თქვენ თქვით, გარკვეული პიროვნებები არიან, რომლებიც საქართველოსკენ იყურებიანო და ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობა არ აქვთო. ახლა სად არიან ისინი, კვლავ გაქვთ მათთან კავშირი?

– წინა ხელისუფლების დროს რამდენიმე პიროვნება და არასამთავრობო ორგანიზაციები აფხაზეთიდან ღიად იყვნენ მომხრე და მზად იყვნენ განცხადებების გასაკეთებლად.

წინა ხელისუფლების დროს მე ეს ვერ გავიტანე. პოლიტიკური პიარისთვის შეეძლოთ გამოეყენებინათ, მაგრამ მათ კარგად დამუშავებული და მაგიდაზე დადებული პროექტი დარჩათ განუხორციელებელი. მერე აგვისტოს ომი მოხდა და ის ადამიანები ახლა სად არიან, არ ვიცი. ვერ ვხვდები ხელისუფლებების ლოგიკას. ვერ ვხვდები, რა ლოგიკა და რა ამოძრავებთ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩვენს ხელისუფლებებს. მათ არავითარი პროგრამა არ გააჩნიათ. არ აქვთ გამოკვეთილი პოზიცია, გარდა იმისა, რომ აფხაზი რომ ჩამოვა, დააფინანსონ. სხვა არანაირი ხედვა არ გააჩნიათ.

ქართულ კლინიკებში ფატალური შემთხვევები სულ უფრო რეზონანსული ხდება

სოციალურ ქსელში ბათუმში მცხოვრები ნათია ჩაგანავას ფოტოები გავრცელდა. 26 წლის გოგო დაახლოებით ერთი თვეა კომაშია. ოჯახის ინფორმაციით, ნათია 11 აპრილს საკეისრო კვეთის შემდეგ კომაში ჩავარდა და დღემდე მისი მდგომარეობა კრიტიკულია. მედიაში გავრცელდა ოჯახის ახლობლის კომენტარი.

– სპინალური გაუტკივარება გაუკეთეს, ვერ მოხვდნენ ხერხემალში, შემდეგ კიდევ ნარკოზი გაუკეთეს... ამ ყველაფერს ძალიან დიდი გამოცდილება სჭირდება და დღეს შეცდომას თავის თავზე არავინ იღებს... ნათია ერთი დღე კარგად იყო, შემდეგ დაეწყო ჩივილები – ხელები მიბუჟდება, ფეხები მიერთმევაო. შემდეგ კომატოზურ მდგომარეობაში ჩავარდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ნათია ჩაგანავას გადარჩენის შანსს ქართველი ექიმები ოჯახს ვერ აძლევდნენ, პაციენტი 11 მაისს სამკურნალოდ თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს. თურქეთში მკურნალობა 54.200 აშშ დოლარი ღირს. გავრცელებული ინფორმაციით, ბათუმის ჯანდაცვის სამინისტრომ ოჯახს მხოლოდ 15.000 ლარი ჩაურიცხა. ამიტომ ოჯახი იძულებული გახდა სოლიდური თანხა საზოგადოების დახმარებით შეეგროვებინა.

მომხდარის შესახებ ჩაგანავას ოჯახს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში საჩივარი არ შეუტანია. შესაბამისაც სააგენტო ამ საკითხის შესწავლით არც დაინტერესებულა. არადა, სწორედ ეს უწყება სწავლობს სამედიცინო გადაცდომის საკითხებს.

ჯანდაცვის სამინისტროს კონტროლის დეპარტამენტის უფროსი ნინო ხუციშვილი ამბობს, რომ პროცესი სამი ძირითადი კანონით რეგულირდება, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი დგება.

– მომართვის შემთხვევაში სასამართლო გვაძლევს ნებართვას, შევდივართ დაწესებულებაში და ვსწავლობთ სამედიცინო დოკუმენტაციას კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კლინიკური შეფასებისთვის უკვე ვრთავთ ექსპერტებს. საბოლოოდ შეჯამებული ანალიზი კეთდება, თუ გამოიკვეთება დარღვევები ექიმების მხარიდან ისმება პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი. სამი ძირითად კანონი არეგულირებს ჯანდაცვის სფეროს. ეს არის: საექიმო საქმიანობის შესახებ კანონი, ჯანდაცვის შესახებ კანონი და პაციენტის უფლებების შესახებ კანონი, – განაცხადა „კომერსანტთან“ საუბარში ნინო ხუციშვილმა.

ის, რომ საქართველოში დაშვებული სამედიცინო შეცდომის გამო სახელმწიფო სათანადო მორალურ და ფინანსურ პასუხისმგებლობას არ იღებს, კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის დეკანი ვატო სურგულაძე საკანონმდებლო ხარვეზებით ხსნის.

როგორც ვატო სურგულაძე ამბობს, სამედიცინო გადაცდომის შემთხვევაში ჯანდაცვის სამინისტროს მაქსიმუმი ქმედითი ნაბიჯი ექიმის ლიცენზიის შეწყვეტაა.

სურგულაძის განმარტებით, პაციენტისთვის თანხის გამოყოფა იმის შემდეგ ხდება რაც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო მომხდარ ფაქტს შეისწავლის. თანხის გამოყოფა კი საქმის სირთულის მიხედვით ხდება, თუმცა ხშირ შემთხვევაში ჯანდაცვის სამინისტრო დიდი თანხას არ აფინანსებს. კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის დეკანი გამოსავალს პროფესიონალურ დაზღვევაში ხედავს.

– როდესაც სამედიცინო გადაცდომას აქვს ადგილი სახელმწიფო როგორც წესი ცდილობს, რომ დააფინანსოს პაციენტი. დაფინანსება დამოკიდებულია თანხებზე, შეიძლება იყოს 100%-იანი, 90%-იანი ან 50%-იანი დაფინანსება. ხშირ შემთხვევაში, თუ თანხა აღემატება 30.000-ს ლარს, ჯანდაცვის სამინისტრო სრულად ვერ აფინანსებს მკურნალობას. არსებობს ცნება პროფესიონალური დაზღვევა, რომელიც გულისხმობს დაზღვევას პროფესიონალური შეცდომის შემთხვევაში. ეს დაზღვევა პრაქტიკულად სრულად აფინანსებს საექიმო შეცდომას. ხდება ხოლმე პროფესიონალური შეცდომა. ჩემი აზრით, საჭიროა შემოვიღოთ სავალდებულო პროფესიონალური დაზღვევა, – განაცხადა ვატო სურგულაძემ.

კომერსანტი

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 17.7 პროცენტით გაიზარდა – ვიზიტორები ძირითადად 31-50 წლის არიან

2017 წელს საქართველოში 7.9 მილიონი საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურის შემოსვლა დაფიქსირდა. ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. რიცხვი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 17.7 პროცენტით მეტია. შემომსვლელების უდიდესი ნაწილი – 44.7%, 31-50 წლის ასაკის მოგზაურია.

დოკუმენტის მიხედვით 7.9 მილიონი საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურიდან საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 6.5 მილიონი შეადგინა, რაც 2016 წლის ანალოგიურ



მაჩვენებელთან შედარებით 20.2 პროცენტით არის გაზრდილი.

კვლევაში ვკითხულობთ, რომ ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა, 2.4 მილიონი, მესამე კვარტალში დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებელი 26.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქსტატის ინფორმაციით, 2017 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 5.1 მილიონს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 21.8 პროცენტით არის გაზრდილი, წინა წელს ეს რიცხვი 4,2 მილიონი იყო. საერთაშორისო ვიზიტორების 63.8 პროცენტი მხოლოდ ტურისტები იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების (ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე) წილმა კი 30.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 5.8 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

კვლევის მიხედვით, 2017 წელს ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 967.6 ვიზიტორი, აზერბაიჯანიდან დაფიქსირდა, რაც მთლიანი ვიზიტორების 18.9 პროცენტს შეადგენს. შემდეგ ადგილს სომხეთი იკავებს, ხოლო მესამე ადგილზე რუსეთის ფედერაციაა.

ვიზიტორების უმრავლესობა, 46.1 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 37.7 პროცენტს შეადგენდა.

2017 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი საქართველოში 37.7 პროცენტი განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

საქსტატის ინფორმაციით, 2017 წელს ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარაში – 3.1 მილიონი და 1.9 მილიონი ვიზიტი.

პროცენტული რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისი 33%, აჭარა 20%, ქვემო ქართლი 13%, მცხეთა-მთიანეთი 12%, სამცხე-ჯავახეთი 8%, კახეთი 5%, იმერეთი 4%, სხვა რეგიონები 5%.

2017 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 4.3 ღამე შეადგინა, რაც 2016 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს (3.8 ღამე) 13 პროცენტით აღემატება. განხორციელებული ვიზიტების 75 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2017 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

დოკუმენტის მიხედვით, 2017 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული წლიური ხარჯები 5.8 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 31.6 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ვიზიტზე საშუალო ხარჯი, წინა წელთან შედარებით, 9.4 პროცენტით გაიზარდა და 888.7 ლარი შეადგინა.

კომერსანტი

მთავრობის მიერ შექმნილი „მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო“ დიდი ხანია არსებობს, თუმცა მუშაობა ჯერ არ დაუწყია

საქართველოს მთავრობის მიერ „მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო“ უკვე დიდი ხანია ქვეყანაში არსებობს. თუმცა თემატურად ნამდვილად მნიშვნელოვანი სტრუქტურის არსებობა აქტუალური მხოლოდ მას შემდეგ გახდა, რაც საბჭოს განახლებული შემადგენლობა დასახელდა.

უწყებას, რომლის მთავარი მიზანი ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის მოსალოდნელი შემცირების შეჩერების ხელშეწყობა და მიგრაციის რაციონალიზაციაა, კვლავ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უხელმძღვანელებს. მისი ახალი მოადგილეები და პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი იქნებიან.

სწორედ ისინი შეიმუშავებენ საქართველოს 2018-2030 წლების დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასაც. უწყების ფუნქციაში ასევე შევა საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებაც.

„კომერსანტი“ დაინტერესდა კონკრეტულად, რას გულისხმობს მიგრაციის რაციონალიზაცია და როგორ მოგვარდება დემოგრაფიული პრობლემები. როგორც ირკვევა, საბჭოს მუშაობის სტრატეგია ჯერ შემუშავებული არ არის და შესაბამისად უცნობია, რა გზით ეცდება უწყება არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარების მოგვარება.

კერძოდ, როგორც საბჭოს ხელმძღვანელის ერთ-ერთი მოადგილე აკაკი ზოიძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, საბჭო ადრე ჩამოყალიბდა, თუმცა შესაბამისი მოქმედებები უწყებას ჯერ არ დაუწყია.

– საბჭო დღეს არ შექმნილა, არსებობს რახანია, უბრალოდ შემადგენლობაში მოხდა გარკვეული ცვლილებები. რაც შეეხება მის ფუნქციონალურ მიმართულებას, ჯერჯერობით უწყება არ მუშაობს, რადგან ველოდებით სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას. ეს უკანასკნელი გაითვალისწინებს ყველა იმ პუნქტს, რაც პარლამენტის მიერ შემუშავებულ დემოგრაფიული განვითარების კონცეფციაშია მოყვანილი. სწორედ ამ გეგმას ველოდებით, მანამდე კი საბჭო ვერ მუშაობს, – განმარტავს ზოიძე.

რაც შეეხება უშუალოდ სამოქმედო გეგმის კონცეფციას, როგორც აკაკი ზოიძე აცხადებს, დაგეგმილია მრავალშვილიანი ოჯახების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და ასევე პირველ მაისამდე უნდა დაკანონდეს მრავალშვილიანი ოჯახის ოფიციალური განმარტებაც.

– ზოგადად სამოქმედო გეგმა იქნება ორიენტირებული მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობაზე და ზოგადად ოჯახების მიმართ ე.წ. მეგობრული პოლიტიკის გატარებაზე, რაც არაერთ ქვეყანაშია დანერგილი. ღონისძიებები გატარდება სოციალური, საგანმანათლებლო, სპორტული მიმართულებით და ა.შ. ასევე აღსანიშნავია, რომ აქამდე არ არსებობდა ერთიანი სამართლებრივი დეფინიცია, როგორც მრავალშვილიანი ოჯახი და ვგეგმავთ სწორედ ამ დეფინიციის შემოტანას. პირველ ივლისამდე მთავრობამ უნდა შეიმუშაოს შესაბამისი პაკეტიც. როცა სტატუსი ამგვარად განისაზღვრება, კონკრეტული შეღავათებიც დაწესდება. იცით, რომ მრავალშვილიანი ოჯახი გულისხმობს 4 და მეტ სულს. თუმცა ახალი პაკეტის ამოქმედებით, სამშვილიან ოჯახებს ის შეღავათები, რაც მათთვის მუნიციპალიტეტებს აქვთ შექმნილი, არ მოეხსნებათ, – განმარტავს ზოიძე.

საბჭოს სამომავლო მუშაობის ეფექტიანობაზე საუბარი უჭირს სტატისტიკოსსა და ეკონომისტ სოსო არჩვაძეს. მისი თქმით, მთავარია უწყებამ გაატაროს კონკრეტული ღონისძიებები, რათა ქვეყანაში არსებული მწვავე დემოგრაფიული ვითარება მოგვარდეს და მოსახლეობისთვის კომფორტული გარემო შეიქმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნებისმიერი უწყების არსებობას მხოლოდ ფორმალური სახე ექნება.

– მაგალითად, საფრანგეთში შექმნილია მსგავსი სპეციალური კომისია, რომელმაც მოახერხა 20-იან წლებში დაახლოებით 30 წლის განმავლობაში 12 მილიონით გაეზარდა ფრანგი მოსახლეობა. დღეს, იქ პირველ პირველ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება 60 ევროა, ხოლო თუ ოჯახში 5 და მეტი ბავშვია, დახმარების მოცულობა 600 ევრო-ზე მეტია. ამას ემატება უამრავი შეღავათი უმაღლესში სწავლების, სახელმძღვანელოების დარიგების და ა.შ. ამით იმის თქმა, მინდა, რომ ოჯახების შექმნა უნდა იყოს არამარტო სოციალური პასუხისმგებლობის აქცია, არამედ ეკონომიკურადაც სასარგებლო. ჩვენი საბჭოც თუ ასე მიუდგება საკითხს, მაშინ მას ნამდვილად შეეძლება ქვეყანაში არსებული საგანგაშო ვითარება გამოასწოროს. სხვა შემთხვევაში არაფერი გამოვა, – განმარტავს არჩვაძე.

რაც შეეხება კონკრეტულად დემოგრაფიულ ვითარებას ქვეყანაში, როგორც სოსო არჩვაძე აღნიშნავს, რომ ოფიციალურად 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს მოსახლეობა თითქმის 1.8 მილიონი ადამიანით შემცირდა. განსაკუთრებით საგანგაშოა შრომისუნარიანი, იგივე რეპროდუქციული ადამიანების წილი. კერძოდ, სტატისტიკოსის თქმით, იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც რეალურად უნდა შექმნას დოვლათი, განაახლოს გენოფიდი და განავითაროს ეკონომიკა, ძირითადად ემიგრაციაშია.

– გარდა იმისა, რომ ქვეყანაში მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა, ასევე საგანგაშოა ქვეყნიდან გადინების მაჩვენებელი, რომელიც 15 ათასით მეტია ქვეყანაში შემოსულ მაჩვენებელზე. რაც შეეხება არარეზიდენტებს, მათი რაოდენობა 13 ათასით მეტია, ვიდრე გადინება. ე.ი. სხვა ქვეყნის მოქალაქეების ინტენსიურად შემოდიან და აღარ გადიან, რასაც ზოგადად მსოფლიო სტატისტიკაც ადასტურებს. ამის ფონზე კი, როცა ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა გადის საქართველოდან, დიდია შანსი, მუდმივი სამსახურის პოვნის შემდეგ აღარ დაბრუნდეს და, პრინციპში, ასეც ხდება, – განმარტავს არჩვაძე.

კომერსანტი

ნათია მეზვრიშვილი: „ბასიანსა“ და „გალერიში“ ნარკოტიკები იყიდებოდა და პოლიციამ ჩხრეკა სწორად ჩაატარა“

– პოლიციას კლუბებში ჩხრეკის ჩატარების უფლებამოსილება ჰქონდა – მტკიცებულებებით არის დადასტურებული, რომ კლუბებში ნარკოტიკები იყიდებოდა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა განუცხადა.

– ძალიან ბევრი საუბარი იყო იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩაატარა პოლიციამ საგამოძიებო მოქმედებები კლუბებში მაშინ, როცა დაკავებულთა უმრავლესობის დაკავება კლუბების გარეთ მოხდა. ამასთან დაკავშირებით კითხვა შეიძლება ლოგიკური და ლეგიტიმური იყოს, მაგრამ ეს საგამოძიებო მოქმედებები არის დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებები.

დაკავების ფაქტები ცოტა ხნით რომ დავივიწყოთ და ვიმსჯელოთ იმაზე, ჰქონდა თუ არა პოლიციას კლუბებში ჩხრეკის ჩატარების უფლებამოსილება. რა თქმა უნდა, ამის უფლება ჰქონდა შემდეგ მიზეზთა გამო: – ამ კლუბებში ნარკოტიკები იყიდებოდა, გაყიდვის არაერთი ფაქტი მტკიცებულებებით არის დადასტურებული. ამასთან დაკავშირებით არსებობს ვიდეომასალა, რაც ძალიან კარგად იხილა საზოგადოებამ. ნარკოტიკები იყიდებოდა მათ შორის „ბასიანსა“ და გალერიში“, სადაც საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა.

საზოგადოებასთან აქეთ მაქვს კითხვა: ნებისმიერ ნორმალურ პოლიციელსა და სამართალდამცავს, რომელსაც დადასტურებული ინფორმაცია აქვს, რომ კლუბებში ნარკოტიკულ საშუალებებს ყიდიან, უნდა ჩაეტარებინა თუ არა კლუბში საგამოძიებო მოქმედება – ჩხრეკა? პასუხი არის ერთადერთი და ცალსახა: – დიახ, ჩხრეკა უნდა ჩატარებულიყო, ეს იყო ლეგიტიმური და პოლიცია კანონის შესაბამისად მოქმედებდა.

ჩხრეკა უნდა ჩატარებული სწორედ მაშინ, როცა ივენთი მიმდინარეობდა, რადგან ეს იყო ის დრო, როცა კლუბებში ნარკოტიკული საშუალებები იყიდებოდა, – განუცხადა ჟურნალისტებს ნათია მეზვრიშვილმა.

მისივე თქმით, კლუბებიდან ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებები და კლუბშია დაკავებული დაცვის უფროსი, რომელიც გასაღებაში ერთ-ერთი ბრალდებული პირია.

– კლუბებიდან ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებები – 34 ლოკაციიდან. ნარკოტიკულ საშუალებებს ექსპერტიზა უტარდება და, თუ რა ტიპის ნარკოტიკული საშუალებებია, ამას დამატებით გაცნობებთ, – აღნიშნა მეზვრიშვილმა.

ნინო ლომჯარია ნეონაცისტების წინააღმდეგ

„შსს-მ ნეონაცისტების ყველა დანაშაულებრივი ქმედება უნდა გამოიძიოს“

სახალხო დამცველი 13 მაისს „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული აქციის „ჩვენი თავისუფლებისთვის“ პარალელურად მიმდინარე „ქართული მარშისა“ და სხვა ნეონაცისტური დაჯგუფებების მიერ ორგანიზებულ აქციის მონაწილეთა მხრიდან ძალადობრივ ქმედებებზე სამართალდამცავ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისკენ მოუწოდებს.

„კერძოდ, 13 მაისს, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ კონტრდემონსტრანტების მხრიდან ადგილი ჰქონდა „ჩვენი თავისუფლებისთვის“ აქციის მონაწილეთა მიმართ ძალადობის მუქარას, ფიზიკურ ძალადობასა და სხვა ძალადობრივ მოწოდებებს. გავრცელდა ინფორმაცია რუსთავი 2-ის ოპერატორისთვის საქმიანობაში ხელშეშლის, ფიზიკური დაპირისპირებისა და მუქარის შესახებ. ასევე, ნეონაცისტური დაჯგუფების წარმომადგენელმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ისინი იწყებენ სამოქალაქო გვარდიის რაზმების ჩამოყალიბებას.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ შეკრება და მანიფესტაციის ჩატარება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა, თუმცა ეს უფლება არ არის შეუზღუდავი. დაუშვებელია შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარებისას ისეთი მოწოდებები, რომელიც არის ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის მათი განხორციელების აშკარა და რეალურ საფრთხეს. ასევე, ხელისუფლებას შეუძლია შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. პროტესტის ნებისმიერი ფორმით გამოხატვისას, აუცილებელია, შესაბამის პირთა ქმედებით ზიანი არ მიადგეს სხვა ადამიანთა უფლებებს, საფრთხე არ შეუქმნან სხვა პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას. მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებული კონ-

ტრაქციის მონაწილეთა ქმედებები გასცდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ასევე, იკვეთება სხვადასხვა დანაშაულის ნიშნები.

მიუხედავად იმისა, რომ აქციისა და კონტრაქციის მონაწილეებს შორის პოლიციის კორდონი იდგა, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა ფიზიკური დაპირისპირების რისკი, კონტრაქციის მონაწილეები არაერთგზის ცდილობდნენ კორდონის გარღვევას. ასევე, აქციის მონაწილეთა ნაწილმა გაარღვია პოლიციის კორდონი და აცხადებდნენ, რომ აქციის დარბევას გეგმავდნენ. გავრცელდა ვიდეო კადრები, რომლიდანაც ირკვევა, რომ აქციის ერთ-ერთ მონაწილე ქალს კონტრაქციის აქტივისტმა დაარტყა სახის არეში. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია სხვა ძალადობის ფაქტებზეც.

სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დროულად გამოავლინოს 13 მაისის კონტრაქციის დროს შესაძლო ყველა დანაშაულებრივი ქმედება და წარმართოს ეფექტიანი გამოძიება დამნაშავე პირთა გამოვლენისა და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. ასევე, გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე პერიოდულად მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება. ამავდროულად, აუცილებელია, რომ მომავალში, ნეონაცისტური ჯგუფების შეკრების დროს დროულად შეაფასოს შესაძლო რისკები და მიიღოს შესაბამისი ზომები დანაშაულებრივი და ძალადობრივი ქმედებების პრევენციისთვის, – აღნიშნულია ომბუდსმენის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ფეხსაცმელში დამალული ჰეროინისთვის აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავეს

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, 1976 წელს დაბადებული მამაკაცი ზემო ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს.

პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო 4 შეკვრად დაფასოებული 324.93 გრამი ჰეროინი, რომელიც ბრალდებულს ფეხსაცმელში ჰქონდა დამალული.

ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

აიისას პრეზერვატივების საქმეს ლევან მურუსიძე განიხილავს

პრეზერვატივების ქართული ბრენდის აიისას საქმეს სააპელაციო სასამართლოში ლევან მურუსიძე განიხილავს.

ამის შესახებ ინფორმაციას კომპანიის უფლებადამცველი გიორგი მშვენიერაძე ავრცელებს.

შეგახსენებთ, თბილისის საქალაქო სასამართლომ პრეზერვატივების მწარმოებელი კომპანია აიისა 500 ლარით დააჯარიმა და რამდენიმე შეფუთვისა და რეკლამის სამომავლოდ გამოყენება აუკრძალა.

მოსამართლის აზრით, პრეზერვატივის შეფუთვაზე ორ თითზე წამოცმული პრეზერვატივის, ასევე თამარ მეფის გამოსახვამ საზოგადოების მორალი და ღირსება შელახა.

ნიუპოსტი

ზუგდიდში 38 წლის მამაკაცის დაჭრისთვის ერთი პირი დააკავეს

ზუგდიდში 38 წლის მამაკაცის დაჭრის ფაქტზე სამართალდამცველებმა ერთი პირი დააკავეს.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დაკავებულია 1975 წელს დაბადებული მამაკაცი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 14 მაისს, ზუგდიდში, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით 1976 წელს დაბადებულ ე.წ.-ს რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი საავადმყოფოში იმყოფება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

დავით სერგეენკო: „ჩემს წარმოდგენაში ყველა ნარკოტიკი ფატალურ საფრთხეებთან არის დაკავშირებული“

– ჩემს წარმოდგენაში უკლებლივ ყველა ნარკოტიკი ფატალურ საფრთხეებთან არის დაკავშირებული და საქართველოში მათი ლეგალიზაცია წარმოუდგენლად მიმაჩნია.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.

რაც შეეხება დეკრიმინალიზაციას, დავით სერგეენკოს თქმით, მთავრობა ცალსახად შეთანხმებულია, რომ მომხმარებელზე სისხლისსამართლებრივი დევნა პირველ ჯერზე არ უნდა გავრცელდეს.

– ჩემს წარმოდგენაში ნარკოტიკებში არსებობს ფარმაკოლოგიური კლასიფიკაცია, მაგრამ არა მათი სიმსუბუქე-სიმძიმე. ჩემს წარმოდგენაში ყველა ნარკოტიკი უკლებლივ ფატალურ საფრთხეებთან არის დაკავშირებული და საქართველოში მათი ლეგალიზაცია წარმოუდგენლად მიმაჩნია. დეკრიმინალიზაციას რაც შეეხება, ცალსახად შეთანხმებულები ვართ, რომ მომხმარებლებზე პირველ ჯერზე არ უნდა გავრცელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ გამსაღებელსა და გამავრცელებელზე – აუცილებლად, – განაცხადა სერგეენკომ.

2018, 16 მაისი, №114

სისხლისღვრა ღაზას სექტორში

იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გახსნას 55 პალესტინელი შეეწირა

იერუსალიმში აშშ-ის საელჩო გაიხსნა. ცერემონიას ტრამპის სიძე და მრჩეველი კუშნერი, მეუღლე ივანკა, აგრეთვე აშშ-ის ფინანსთა მინისტრი მნუჩინი დაესწრნენ. კუშნერმა სიტყვით გამოსვლაში განაცხადა, რომ იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გახსნა ისტორიული მოვლენაა.

– პრეზიდენტი ტრამპი თავის დაპირებებს მუდამ ასრულებს! – თქვა მან.

იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გახსნამ პალესტინელთა მასობრივი პროტესტი გამოიწვია.

ღაზასთან, ჰამაზის ინიციატივით, 40.000 ადამიანი შეიკრიბა. ისინი საზღვრისკენ დაიძრნენ და ისრაელის არმიის ჯარისკაცებს ქვები, ბოთლები და შუშხუნები დაუშინეს. ბრბო ძალზე აგრესიულად იყო განწყობილი. შეკრებილები აპირებდნენ სასაზღვრო ზღუდეების მოხსნას. ზოგიერთი მათგანი ისრაელის ჯარისკაცებს ცეცხლსასროლი იარაღითაც დაემუქრა. ჯარისკაცები საპასუხო მოქმედებაზე მხოლოდ მას შემდეგ გადავიდნენ, რაც მათი მიმართულებით ჯერ შუშხუნები გაუშვეს, შემდეგ გაისროლეს.

ისრაელის არმიის ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ, საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ.

პირველი გასროლა ჰაერში მოხდა. ამან პალესტინელებზე არ იმოქმედა. მათ ჯარისკაცებს ქვები, შუშხუნები, თუ ტყვიები კიდევ უფრო მეტი გააფთრებით დაუშინეს. პასუხად ჯარისკაცებმა უკვე მათ გაუხსნეს ცეცხლი.

– რასაკვირველია, მშვიდობიანი დემონსტრაციის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ეს არა მშვიდობიანი დემონსტრაცია, არამედ ჩვენს ჯარისკაცებზე თავდასხმა იყო. ჯარისკაცები სწორად მოიქცნენ, როცა ცეცხლი გახსნეს, – განაცხადა ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ.

შედეგად 55 პალესტინელი დაიღუპა. დაჭრილია 1.500 ადამიანი. ღაზას სექტორში მომხდარი შეტაკება ლიბანმა, სირიამ და ირანმა დაგმეს. ბრიტანეთის პრემიერმა მეიმ მომხდართან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა:

– ის, რაც მოხდა, უდავოდ შემაშფოთებელია.

თავად ჰამაზის ლიდერები იმუქრებიან, რომ ღაზას სექტორში აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება.

ინგლისის კონტრდაზვერვა: სკრიპალები რუსეთის სპეცსამსახურებმა მოწამლეს!

ბერლინში ინგლისის კონტრდაზვერვის (მი-5) შეფი ენდრიუ პარკერი ჩავიდა. პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ გრუ-ს ყოფილი ოფიცერი სკრიპალი და მისი ქალიშვილი რუსებმა მოწამლეს.

– ამის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთები არსებობს, – ამბობს პარკერი.

კონტრდაზვერვის შეფმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ეს დიდად განაპირობა როგორც სანქციებმა, ასევე გაჭიანურებულმა ომმა დონბასსა და სირიაში. პუტინი შეეცდება, მოსახლეობის ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. სპეცოპერაციები ევროკავშირის წინააღმდეგ გაძლიერდება.

– დეზინფორმაციულ ოპერაციებსა და კიბერშეტევებს ტერაქტებიც დაემატება! გაიზრდება ულტრამემარჯვენე და სეპარატისტული დაჯგუფებების მხარდაჭერა, – ამბობს პარკერი.

კონტრდაზვერვის შეფმა ევროპას ერთიანობისკენ მოუწოდა.

– ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთობაშია! მხედველობაში მაქვს როგორც ევროპის ერთიანობა, ასევე კავშირი აშშ-სთან, – განაცხადა პარკერმა.

უკრაინაში პოროშენკოს რეიტინგის ვარდნა გრძელდება

თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, პრეზიდენტ პოროშენკოს რეიტინგი დაეცა. კიევის საერთაშორისო სოციოლოგიური ინსტიტუტის მონაცემებით, დღეისთვის ყველაზე პოპულარული უკრაინელი პოლიტიკოსი იულია ტიმოშენკოა. მას მხარს 16% უჭერს. მეორე ადგილზე ანატოლი გრიცენკო გავიდა – 10%. პეტრო პოროშენკო 9,2%-ით მესამეზეა.

ექსპერტები პოროშენკოს რეიტინგის ვარდნას დონბასში გაჭიანურებულ ომს, კორუფციასა და სიღატაკეს უკავშირებენ. ამავე დროს, ხაზს უსვამენ იმას, რომ უკრაინის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა გაიზარდა.

ნატოში შესვლას მხარს უკვე უკრაინელთა 67% უჭერს (ერთი თვის წინ ეს მაჩვენებელი 64% იყო), ევროკავშირში – 77%.

აღსანიშნავია დონბასის ომთან დამოკიდებულებაც. მოსახლეობის 68% ომის შეწყვეტას მოითხოვს, მაგრამ დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების წინააღმდეგია. დონბასის უკრაინისგან ჩამოშორებას მხოლოდ 3% ეთანხმება.

უკრაინელთა 81% რუსეთს მტრულ სახელმწიფოდ მიიჩნევს. მოსკოვის ფართომასშტაბიანი აგრესიის შემთხვევაში 64% მზადაა, სამშობლო იარაღით ხელში დაიცვას.

ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, იულია ტიმოშენკო პირველ ადგილს შეინარჩუნებს და მეორე ტურში გავა. თუ ვინ გაუწევს მას კონკურენციას, ეს შემოდგომაზე გამოიკვეთება.

მოლდოვამ ევრაზიულ კავშირში მეთვალყურის სტატუსი მიიღო

მოსკოვში ევრაზიულ კავშირში შემავალი ქვეყნების სამიტი შედგა. რუსეთის, ყაზახეთის, ბელარუსის, სომხეთის, ყირგიზეთის გარდა, მას მოლდოვის პრეზიდენტი იგორ დოდონიც დაესწრო.

დოდონისა და პუტინის შეხვედრის შემდეგ მოლდოვამ ახალ გაერთიანებაში მეთვალყურის სტატუსი მიიღო. დოდონმა ამას ისტორიული მოვლენა უწოდა.

– გადადგმულია პირველი რეალური ნაბიჯი მოლდოვის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებისათვის, – განაცხადა მან.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დოდონის სოჭში ვიზიტი შემთხვევითი არ არის. მოლდოვაში პიკს აღწევს დაპირისპირება პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის. სოჭში ვოიაჟის შემდეგ დოდონი პარლამენტის დაშლასა და დიქტატურის დამყარებას შეეცდება. პუტინი მას მხარს დაუჭერს.

სროლა მოსკოვის ბარში

მოსკოვის ერთ-ერთ ბარში ბოლშაია გრუზისნკაიაზე სისხლიანი ინციდენტი მოხდა. ანაზდად ბარში ახალგაზრდა შემოიჭრა და სროლა ატეხა. რამდენიმე სტუმარი დაიჭრა.

ახალგაზრდა მიიმალა. მისი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

კატალონიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

კატალონიის პარლამენტმა რეგიონის ახალი ხელმძღვანელი აირჩია. ეს პოსტი ჟოაკიმ ტორას ერგო. ის პარტია „ერთად კატალონიისთვის“ წევრია, თუმცა მისი პოზიცია ბევრად უფრო ზომიერია, ვიდრე პუჩდემონის.

– კატალონიის დამოუკიდებლობა თვითმიზანი არ არის! სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდეთ, უნდა ვიცოდეთ, გვჭირდება კი დამოუკიდებლობა? – თქვა ტორამ.

კატალონიის ხელმძღვანელს პარლამენტი უბრალო უმრავლესობით ირჩევს. ტორას მხარი 66-მა დეპუტატმა დაუჭირა, 65 წინააღმდეგი იყო.

რაც შეეხება დამოუკიდებლობას, თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, კატალონიელთა 70% დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, 20% მომხრეა, დანარჩენებს ეს საკითხი არ აინტერესებთ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, "პახმელიის",ზაპოის", აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენერეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

ქუთაისმა გაათანაბრა, დინამო დაწინაურდა

ქუთაისი-ჩუსთავი 90:70

(20:22, 26:19, 27:7, 17:22)

სუპერლიგის რეგიონულ ნახევარფინალში ანგარიში გათანაბრდა. ქუთაისმა 20 ქულის სხვაობით დაამარცხა რუსთავი და სერიაში ანგარიში 1:1 გახადა. შეგახსენებთ, რომ სერიის პირველი მატჩი ქვემოქართლელებმა 81:75 მოიგეს და მოედნის უპირატესობას დაეპატრონნენ.

ახლა სერია რუსთავში გადაინაცვლებს, სადაც 2 მატჩი გაიმართება. თუკი მეტოქეებმა მოგებ-წაგებები ქუთაისური მატჩების მსგავსად გაიყვეს, სერიის მე-5, გადამწყვეტ შეხვედრას იმერული კლუბი 20 მაისს უმასპინძლებს.

რაც შეეხება შეხვედრას, მისი პირველი ტაიმი ძალიან დაძაბული იყო. რუსთაველებმა პირველი პერიოდი 22:20 მოიგეს და ლიდერობას შემდეგაც ინარჩუნებდნენ. 34:37 ჩამორჩენილმა ქუთაისელებმა 12:3 გაქცევა მოაწყვეს და 46:40 დაწინაურდნენ. მეორე მეოთხედის შემდეგ მასპინძლები 46:41 იგებდნენ, თუმცა დიდი შესვენების შემდეგ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მასპინძლებმა მატჩზე სრული კონტროლი დაამყარეს და მატჩის ბედი საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე, მესამე პერიოდის ბოლოსთვის გადაწყვიტეს.

აღნიშნული პერიოდი მასპინძლებმა 27:7 მოიგეს, 25 ქულით დაწინაურდნენ და შეხვედრას ინტრიგა დაუკარგეს. საბოლოოდ ქუთაისელებმა 90:70 გაიმარჯვეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს.

მასპინძელთა შორის საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი, რომლის ანგარიშზეც 18 ქულა ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა. 17 ქულა მიითვალა დეჟუან რაიტმა, აკაკი ლომოურმა კი მასპინძლებს 16 ქულა მიაშველა. რუსთავში 17 ქულით გამოირჩა პირველი მატჩის გმირი ადამ ბლეიზეკი, ტაირელ ნელსონმა კი ქვემოქართლელებს 12 ქულა შესძინა.

დინამო-მგზავრები 85:74

(16:9, 24:21, 29:19, 16:25)

სუპერლიგის მეორე ნახევარფინალური სერიაც დაიწყო. რეგულარულ ჩემპიონატში მე-3 ადგილზე გასულმა დინამომ ოლიმპიურ სასახლეში მეშვიდეადგილოსან მგზავრებს უმასპინძლა და ზედმეტი გართულების გარეშე – 85:74 დაამარცხა.

მატჩი საკმაოდ ემოციური გამოდგა და ერთ ეპიზოდში მსაჯებს ერთბაშად 4 ტექნიკური ჯარიმის ჩვენება მოუხდათ. თუმცა აღნიშნულ მომენტისთვის მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო: მეოთხე პერიოდის შუაწელში დინამოელები 22 ქულით – 70:58 იგებდნენ და დარჩენილ დროში მგზავრების მოთამაშეებმა ჩამორჩენა 11 ქულამდე შეამცირეს.

მატჩის პირველ ნახევარში ბრძოლა იყო. უმეტესად დინამოელები ლიდერობდნენ, თუმცა მგზავრების წევრები ბევრით არ რჩებოდნენ და პირველი ნახევრის შემდეგ 10 ქულას აგებდნენ. დინამომ მეტოქე მესამე პერიოდში გატეხა, რომელიც 29:19 მოიგო და ბოლო მეოთხედის წინ 20 ქულით გალიდერდა.

დინამოელებს 24 ქულით მიხეილ ბერიშვილმა ულიდერა. 20 ქულა მოაგროვა კაელ ტურპინმა, ხოლო ილია ლონდარიძემ პირად ანგარიშზე 11 ქულა ჩაიწერა.

მგზავრებში 18 ქულით საუკეთესო იყო ადრიან ბოუი, კახა ჯინჭარაძემ კი 17 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა.

ბრაზილიამ ზუსტი შემადგენლობა თქვა, სხვებმა – გაფართოებული

თვეზე ნაკლები დარჩა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე. გუნდები უკვე ემზადებიან დიდი ფორუმისთვის.

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა, ტიტემ, ზუსტად ის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანს. აღსანიშნავია, რომ „სელესაოს“ რიგებში ვერ მოხვდა ლონდონის ჩელსის მცველი დავიდ ლუიზი.

სამხრეთამერიკელებს მუნდიალზე ვერც დანი ალვეში დაეხმარება, რომელმაც ტრავმა მიიღო და, დიდი ალბათობით, მომავალ სეზონამდე მინდორზე ვერ გავა.

23-კაციანი განაცხადი კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: ალისონი (რომა), ედერსონი (მანჩესტერ სიტი), კასიო (კორინთიანსი);

მცველები: ფელიპე ლუისი (ატლეტიკო), მარსელო (რეალი), ჟოაო მირანდა (ინტერი), ფაგნერი (კორინთიანსი), დანილო (მანჩესტერ სიტი), მარკინიოსი, ტიაგო სილვა (ორივე პსჟ), პედრო ჟერომელი (გრემიო);

ნახევარმცველები: რენატო აუგუსტო (ბეიჯინგ გუანი), ფრედი (შახტარი), პაულინიო, ფელიპე კოუტინიო (ბარსელონა), კაზემირო (რეალი), ვილიანი (ჩელსი), ფერნანდინიო (მანჩესტერ სიტი);

თავდამსხმელები: ნეიმარი (პსჟ), გაბრიელ ჟეზუში (მანჩესტერ სიტი), რობერტო ფირმინო (ლივერპული), დუგლას კოშტა (იუვენტუსი), ტაისონი (შახტარი).

სამაგიეროდ, ძიებაშია არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხორხე სამპაოლი, რომელმაც 35 ფეხბურთელი იხმო, ხოლო რუსეთში მხოლოდ 23 მათგანი გაემგზავრება. აღსანიშნავია, რომ განაცხადში მოხვდა მაურო იკარდი, რომელიც სამპაოლის დიდად არ ეხატება გულზე.

35-კაციანი სია ასეთია:

მეკარეები: ფრანკო არმანი (რივერ პლეიტი), ვილი კაბალიერო (ჩელსი), ნაუელ გუზმანი (ტიგრესი), სერხიო რომერო (მანჩესტერ იუნაიტედი);

მცველები: მარკოს აკუნია (სპორტინგი), კრისტიან ანსალდი (ტორინო), ფედერიკო ფაციო (რომა), რამირო ფუნეს მორი (ევერტონი), ხავიერ მასკერანო (ჰებეი), გაბრიელ მერკადო (სევილია), ნიკოლას ოტამენდი (მანჩესტერ სიტი), ხერმან პეცელია (ფიორენტინა), მარკოს როხო (მანჩესტერ იუნაიტედი), ედუარდო სალვიო (ბენფიკა), ნიკოლას ტალიაფიკო (აიაქსი);

ნახევარმცველები: ეევერ ბანეგა (სევილია), როდრიგო ბატალია (სპორტინგი), ლუკას ბილია (მილანი), რიკარდო სენტურიონი (რასინგი), ანხელ დი მარია (პსჟ), მანუელ ლანსინი (ვესტ ჰემი), ჯოვანი ლო სელსო (პსჟ), მაქსიმილიანო მესა (ინდეპენდიენტე), ლეანდრო პარედესი (ზენიტი), კრისტიან პავონი (ბოკა ხუნიორსი), ენცო პერესი (რივერ პლეიტი), პაბლო პერესი (ბოკა ხუნიორსი), გუიდო პისარო (სევილია);

თავდამსხმელები: სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), პაულო დიბალა (იუვენტუსი), მაურო იკარდი (ინტერი), გონსალო იგუაინი (იუვენტუსი), ლაუტარო მარტინესი (რასინგი), ლიონელ მესი (ბარსელონა), დიეგო პეროტი (რომა).

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გაფართოებული შემადგენლობა მექსიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხუან კარლოს ოსორიომაც დაასახელა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ განაცხადშია 39 წლის მცველი რაფაელ მარკესი, რომელიც ბარსელონაში თამაშობდა და კატალონიელებთან ერთად ჩემპიონთა ლიგა ორჯერ მოიგო.

თუ მექსიკელები ვეტერანს მუნდიალზე წაიყვანენ, მარკესისთვის ეს მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატი იქნება, რითაც გერმანელი ლოთარ მათეუსის, იტალიელი ჯანლუიჯი ბუფონისა და ასევე მექსიკელი ანტონიო კარბახალის რეკორდს გაიმეორებს.

ამის შანსი არის, რადგან ოსორიომ 28-კაციანი განაცხადი გამოაქვეყნა და მარკესმა 5 ფეხბურთელს უნდა აჯობოს.

მექსიკელთა გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: ალფრედო ტალავერა (ტოლუკა), ხესუს კორონა (კრუს ასული), გილერმო ოჩოა (სტანდარდი);

მცველები: კარლოს სალსედო (აინტრახტი), ჰექტორ მორენო (სოსიედადი), მიგელ ლაიუნი (სევილია), ნესტორ ასაუხო (სანტოს ლაგუნა), დიეგო რეიესი (პორტუ), ხესუს გალიარდო (პუმასი), უგო აიალა (ტიგრესი), ოსვალდო ალანისი (ხეტაფე), ედსონ ალვარესი (ამერიკა);

ნახევარმცველები: ჰექტორ ერერა (პორტუ), მარკო ფაბიანი (აინტრახტი), ანდრეს გუადრადო (ბეტისი), ჯოვანი დოს სანტოსი, ჯონათან დოს სანტოსი (ორივე ლოს ანჯელესი), ხესუს მოლინა (მონტერეი), რაფაელ მარკესი (ატლას გუადალახარა), ერიკ გუტიერესი (პაჩუკა);

თავდამსხმელები: კარლოს ველა (ლოს ანჯელეს), ირვინგ ლოსანო (ეინდჰოვენი), ხესუს კორონა (პორტუ), ხავიერ აკინო, იურგენ დამი (ორივე ტიგრესი), ორიბე პერალტა (ამერიკა), რაულ ხიმენესი (ბენფიკა), ხავიერ ერნანდესი (ვესტ ჰემი).

გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა ევროპის ჩემპიონმა პორტუგალიის ნაკრებმაც. მთავარმა მწვრთნელმა ფერნანდუ სანტუშმა შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: ანტონი ლოპეში (ლიონი), ბეტუ (გიოზტეპე), რუი პატრისიუ (სპორტინგი);

მცველები: ვიტორინუ ანტუნეში (ხეტაფე), ბრუნუ ალვეში (რეინჯერსი), სედრიკ სოარეში (საუთჰემპტონი), ჟოაუ კანსელუ (ინტერი), ჟოზე ფონტე (დალიან იფანი), ლუიშ ნეტუ (ფენერბაჰჩე), მარიუ რუი (ნაპოლი), ნელსონ სემედუ (ბარსელონა), პეპე (ბეშიქთაში), რაფაელ გერეირუ (დორტმუნდი), რიკარდუ პერეირა (პორტუ), როლანდუ (მარსელი), რუბენ დიაში (ბენფიკა);

ნახევარმცველები: ადრიენ სილვა (ლესტერი), ანდრე გომეში (ბარსელონა), ბრუნუ ფერნანდეში, ვილიამ კარვალიუ (ორივე სპორტინგი), ჟოაუ მარიუ (ვესტ ჰემი,), ჟოაუ მოუტინიუ (მონაკო), მანუელ ფერნანდეში (ლოკომოტივი), რუბენ ნევეში (ვულვზი), სერჟიუ ოლივეირა (პორტუ);

თავდამსხმელები: ანდრე სილვა (მილანი), ბერნარდუ სილვა (მანჩესტერ სიტი), კრიშტიანუ რონალდუ (რეალი), ედერი (ლოკომოტივი), ჟულსონ მარტინში (სპორტინგი), გონსალუ გუედეში (ვალენსია), ნანი (ლაციო), პაულინიუ (ბრაგა), რიკარდუ კუარეჟმა (ბეშიქთაში), რონი ლოპეში (მონაკო).

კიდევ ერთი ევროპული ნაკრები, რომელმაც შემადგენლობა დაასახელა, ხორვატიაა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზლატკო დალიჩმა წინასწარ განაცხადში 32 ფეხბურთელი შეიყვანა:

მეკარეები: დანიელ სუბაშიჩი (მონაკო), ლოვრე კალინიჩი (გენტი), დომინიკ ლივაკოვიჩი (დინამო ზ), კარლო ლეტიცა (ჰაიდუკი);

მცველები: ვედრან ჩორლუკა (ლოკომოტივი), დომაგოი ვიდა (ბეშიქთაში), ივან სტრინიჩი (სამპდორია), დეიან ლოვრენი (ლივერპული), შიმე ვრსალკო (ატლეტიკო), იოზიპ პივარიჩი (დინამო კ), ტინ იედვაი (ლევერკუზენი), მატეი მიტროვიჩი (ბრიუგე), ბორნა ბარიშიჩი (ოსიეკი), ზორან ნიჟიჩი (ჰაიდუკი), დუე ჩალეტაცარი (ზალცბურგი), ბორნა სოსა (დინამო ზ);

ნახევარმცველები: ლუკა მოდრიჩი, მატეო კოვაჩიჩი (ორივე რეალი), ივან რაკიტიჩი (ბარსელონა), მილან ბადელი (ფიორენტინა), მარსელო ბროჟოვიჩი, ივან პერიშიჩი (ორივე ინტერი), მარკო როგი (ნაპოლი), მარიო პაშალიჩი (სპარტაკი), ფილიპ ბრადარიჩი (რიეკა);

თავდამსხმელები: მარიო მანჯუკიჩი (იუვენტუსი), ნიკოლა კალინიჩი (მილანი), ანდრეი კრამარიჩი (ჰოფენჰაიმი), მარკო პიაცა (შალკე), ანტე რებიჩი (აინტრახტი), დუე ჩოპი (სტანდარდი), ივან სანტინი (კაენი).

მანჩინი იტალიის ნაკრებს გაწვრთნის

იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რობერტო მანჩინია. იტალიელი სპეციალისტი რუსულ ზენიტს დაემშვიდობა და „სკუადრა აძურა“ ჩაიბარა.

– რობერტო მანჩინიმ მოაწერა ხელი კონტრაქტს და იგი იტალიის ნაკრების ახალი მწვრთნელია. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მიაღწია შეთანხმებას მანჩინისთან. მისი წარდგენა კოვერჩანოზე გაიმართება, – წერია იტალიის ნაკრების ტვიტერზე.

როგორც ცნობილი ხდება, 53 წლის სპეციალისტმა 2020 წლის ზაფხულამდე გააფორმა ხელშეკრულება.

რობერტო მანჩინიმ სამწვრთნელო კარიერა 2001 წელს ფიორენტინაში დაიწყო და მალევე რომის ლაციოში უხმეს. დედაქალაქში წარმატებული მუშაობის შემდეგ მილანის ინტერში გადაბარგდა, სადაც საუკეთესო პერიოდი ედგა. შემდეგ ავარჯიშებდა მანჩესტერ სიტის, გალათასარაის, დაბრუნდა ინტერში და, როგორც გითხარით, ბოლოს ზენიტში გადავიდა.

მანჩინის მწვრთნელის რანგში სამჯერ აქვს მოგებული იტალიის ჩემპიონატი, ოთხჯერ იტალიის თასი, ორჯერ იტალიის სუპერთასი, ერთხელ ინგლისის პრემიერლიგა, ინგლისის თასი, ინგლისის სუპერთასი და თურქეთის თასი.

რობერტო მანჩინი თავის დროზე იტალიის ნაკრების ფეხბურთელიც იყო და 1998 წელს ევროპის, ხოლო 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. „სკუადრა აძურას“ მაისურით რობერტომ 1984-94 წლებში 36 მატჩში მხოლოდ 4 გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, იტალიის ნაკრები გასული წლის ნოემბრიდან მოყოლებული იყო უმწვრთნელოდ. მაშინ, ნაკრების თავკაცის პოსტი ჯამპიერო ვენტურას დაატოვებინეს, რომლის ხელმძღვანელობით აპენინელები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიდნენ. რობერტო მანჩინის დებიუტი 28 მაისს საუდის არაბეთთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

14 მაისი

ფეხბურთი

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კადისი-სარაგოსა 2:0

თუჩქეთი. სუპერიგა

ქაისერი-აკჰისარი 1:2

ქარაბუქი-ფენერბახჩე 0:7

ჩეხეთი. 1 ლიგა

დუკლა-სლავია 0:2

დანია. სუპერიგა

ბრონდბიუ-მიდტიულანდი 0:1

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ესტერსუნდი 1:1

კალმარი-სირიუსი 1:0

ჰაკენი-ელფსბორგი 5:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ვაასა-ჰონკა 1:1

ბარსა დაცვას აძლიერებს

ახალი სეზონიდან ბარსელონის დაცვის ცენტრში ცვლილებებია მოსალოდნელი. ესპანური მედიის ინფორმაციით, ამის მიზეზი ლევანტესთან გამართული მატჩია.

პრიმერას გასულ ტურში ბარსელონამ 5 გოლი გაუშვა და 43-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. ამის ერთ-ერთი მიზეზი დაცვის ცენტრის სათადარიგო ფეხბურთელებით ტომას ვერმალენითა და იერი მინათი დაკომპლექტება იყო.

არსებულ პრობლემაზე რეაგირება კლუბმა მალევე მოახერხა და გადაწყდა, რომ იმის მიუხედავად, გაახანგრძლივებს თუ არა სამუელ უმტიტი კონტრაქტს, კატალონიელებმა სევილიის ფრანგი ცენტრალური მცველი კლემენ ლენგლე შეიძინონ. ეს მიმდინარე ზაფხულში, ერთი წლის შემდეგ კი ბარსა უკვე აიაქსის ახალგაზრდა უკანახაზელ მატიას დე ლიგტის დამატებასაც შეეცდება.

აურელიო დე ლაურენტისი: „აპრილში ენერგია დაგვაკლდა“

იტალიის ჩემპიონატში ნაპოლი ისევ ვერ შესწვდა პირველობას და უკვე მერამდენე წელია, სერია ა-ს მეორე გუნდად რჩება.

აპენინებზე ბევრი მიიჩნევდა, რომ ნეაპოლელთა უმთავრეს მეტოქე იუვენტუსს მსაჯები სწყალობდნენ. ამ აზრს არ იზიარებს ნაპოლის პრეზიდენტი და მფლობელი აურელიო დე ლაურენტისი.

– ნეაპოლში ამბობენ, რომ ჩემპიონატი გაყალბებულია. ეთანხმებით?

– არა, მე არ ვისაუბრებ ასეთი ტერმინებით. ლუჩანო სპალეტის რამდენიმე გადაწყვეტილებას არ ვიზიარებ, მაგალითად, იკარდის შეცვლას, მაგრამ 10 ფეხბურთელით თამაში ძალიან რთულია. იუვენტუსს არაფერი მოუპარავს.

– რატომ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს ნაპოლიმ სეზონის ბოლომდე?

– ჩვენთვის სეზონი ძალიან ადრე დაიწყო, რადგან ჩემპიონთა ლიგის ფლეი-ოფი გვქონდა სათამაშო. მესამეადგილოსანს 17 ქულით ვუსწრებთ და 24 ტურის განმავლობაში ლიდერები ვიყავით. შეიძლებოდა უფრო მეტი როტაცია შემადგენლობის მხრივ და რამდენიმე ფეხბურთელის დასვენება. თუმცა ასე არ მოხდა და აპრილში უკვე ენერგია დაგვაკლდა. გულამის დანაკლისი ჩვენთვის სერიოზული აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მარიო რუი კარგი ფეხბურთელია.

– თქვენ რას შეცვლიდით მაურიციო სარის ადგილზე?

– იტალიის თასსა და ევროტურნირებს შეგნებულად არ შეველეოდი. ლაიპციგთან პირველივე თამაში სახლში წავაგეთ, რადგან ევროპა ლიგა მნიშვნელოვანი არ იყო. შემდეგ ლაიპციგში გავიმარჯვეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

– სარისთან ერთად თუ მის გარეშე?

– ეს მასზეა დამოკიდებული. არა მგონია, წასვლა

სურდეს. იანვრიდან რამდენჯერმე ვესაუბრე და სარის ჩვენთან დარჩენა უნდა. თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი შეიცვალოს.

– თქვენ ფიქრობთ სარის შესაძლო შემცვლელზე?

– ჯერ კიდევ ოქტომბერში ვიმსჯელეთ მთელ რიგ კანდიდატებზე. ვნახეთ ხალხი პორტუგალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში და ასევე იტალიაში. ეს შეიძლება იყოს მარკო ჯამპაოლო ან სიმონე ინძაგი. სპალეტიზე კი ბოლოს სამი წლის წინ ვფიქრობდი.

– ანტონიო კონტე?

– ჩემი მეგობარია. ჩემი აზრით, სარი გუნდში დარჩება და, თუ მაინც ასე არ მოხდა, კარგი ალტერნატივები მაქვს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფლეიბოის ვარსკვლავის ქონების მემკვიდრემ 60 დოლარისთვის მაღაზია გაძარცვა

ფლეიბოის ვარსკვლავის მილიონიანი ქონების მემკვიდრემ რედმონდ ო,ნილმა მაღაზია გაძარცვა და მისმა ნადავლმა 60 დოლარი შეადგინა. დანაშაულის ჩადენის მომენტში ის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

33 წლის ო,ნილი ლოს-ანჯელესში პატარა მაღაზიაში შეიჭრა და გამყიდველს დანით დაემუქრა. მძარცველმა სალაროდან 60 დოლარი ამოიღო და დანაშაულის ადგილიდან მიიმალა, თუმცა ის მალევე დააკავეს. ო,ნილი საკანში 50 ათასი დოლარის გირაოს გადახდის უფლებით მოათავსეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს ო,ნილის მიერ ჩადენილი პირველი დანაშაული არ არის. 2008 წელს ის ნარკოტიკების შენახვისას ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის დააკავეს, ხოლო 2011 წელს მას ჰეროინი უპოვეს. 2015 წელს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს გამოსაცდელი ვადის პირობების დარღვევისთვის.

ო,ნილის დედა ფერა ფოსეტი მსახიობი და მოდელი იყო. ყველაზე დიდი ცნობადობა მან მოიპოვა 1995 წელს ჟურნალ ფლეიბოისთვის წითელ საცურაო კოსტუმში გამართულმა ფოტოსესიამ. ფოსეტმა, რომელიც 2009 წელს გარდაიცვალა, თავის შვილ რედმონდს მილიონიანი მემკვიდრეობა დაუტოვა, თუმცა შეზღუდული შემხებლობით. მას ამ თანხის მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისთვის გამოყენება შეუძლია.

იტალიელი ნარკოდილერი მაისურზე წარწერით გამოთვალეს

იტალიის ქალაქ ბრინდიზიში დააპატიმრეს ნარკოდილერი, რომელსაც მაისურზე ეწერა „ნარკოდილერი“. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

კარაბინერებმა ყურადღება მიაქციეს მამაკაცის მაისურზე გაკეთებულ წარწერას, რომელიც უცნაურად იქცეოდა და მისი ავტომობილი ალფა რომეო 147 გაჩხრიკეს, საიდანაც ჰაშიშის მკვეთრი სუნი გამოდიოდა. მანქანის საბარგულში მათ აღმოაჩინეს თერმოჩანთა, რომელშიც 350 გრამი მარიხუანა და 130 გრამი ჰაშიში იდო. ისინი 19 პატარა შეკვრებად იყო დაფასოებული.

გარდა ამისა, პოლიციელებმა მანქანის სალონში აღმოაჩინეს პატარა ელექტროსასწორი, ხოლო დაკავებულის ჯიბეებში 130 ევრო, სხვადასხვა კუპიურებით და დაახლოებით ათასამდე ცელოფნის პაკეტი ჰერმეტული შესაკვრელით.

ამ ყოველივეს გარდა, დაკავებულს არ აღმოაჩნდა მანქანის მართვის მოწმობა, ვინაიდან მას ის არც არასოდეს აუღია. უცნობია, დაკავებულს წარწერიანი მაისური სახუმაროდ ეცვა, თუ მისი დახმარებით ახალი კლიენტების მისაზიდად.

ავსტრალიელმა ლატარიაში ერთ კვირაში ორჯერ გაიმარჯვა

ავსტრალიელმა სიდნეის ფეშენებელურ გარეუბან ბონდიდან მოახერხა ერთი კვირის განმავლობაში, ორჯერ მოეგო ლატარიის გათამაშებაში მსხვილი თანხა. თუმცა ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, მას ჯერ ისევ არ გააჩნია საკმარისი თანხა სახლის შესაძენად.

40 წლის ავსტრალიელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, თავდაპირველად მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო, ხოლო ორ დღეში კიდევ დაახლოებით 1,4 მილიონი. საბოლოო ჯამში, მისმა მოგებამ 2,48 მილიონი ავსტრალიური დოლარი შეადგინა. მამაკაცი საკმაოდ ემოციურად შეხვდა მოგებას, მაგრამ იქვე განაცხადა, რომ ვერანაირ რჩევას ვერ მისცემს ლატარიის მოთამაშეებს, ვინაიდან ფიქრობს, რომ მას ღმერთი დაეხმარა.

მოგების დახარჯვას მამაკაცი „ბრძნულად“ აპირებს, თუმცა მან უკვე მოასწრო თანხის ნაწილით მდიდრული ახალი მანქანის შეძენა. დარჩენილი თანხით ის ჰავაიზე დასასვენებლად გამგზავრებას და მშობლიურ ბონდიში უძრავი ქონების შეძენას აპირებს. ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, მამაკაცი მთელი მოგებული თანხით აღნიშნულ რაიონში მხოლოდ „ხიდ ქვეშ მაცივარის ყუთის“ შეძენას თუ მოახერხებდა, ძალზე მაღალი ფასების გამო.

უცნობმა პენსიონერის სახლში ნახევარი წელი შეუმჩნევლად იცხოვრა

იაპონიის ხიოგოს პროვინციის ქალაქ ხიმეძიში 90 წლის ქალის სახლში დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში ახერხებდა დამალვას უცნობი პირი.

დაუპატიჟებელი სტუმარი ქალის შვილმა აღმოაჩინა, რომელმაც დედასთან იმისთვის შეიარა, რომ მისთვის სადილი მოემზადებინა. ის უცნაურმა ხმებმა დააინტერესა, რომელიც სახლის მეორე სართულიდან აღწევდა. ზევით ავიდა და იქ 20 წლის უცნობი აღმოაჩინა, რომელსაც ლეიბზე ეძინა. მას უცნობის გაღვიძება არ დაუწყია და პოლიცია გამოიძახა.

ახალგაზრდა დააპატიმრეს. მან უარი თქვა განემარტა, თუ რას აკეთებდა სხვის სახლში და საკუთარი ვინაობის გამხელაც კი არ ისურვა. ამის მიუხედავად, პოლიციამ დაადგინა, რომ ის პენსიონერის სახლში 2017 წლის 12 დეკემბრიდან იმალებოდა. სანამ სახლში შევიდოდა, ის ფეხზე იხდიდა და ფეხსაცმელს კართან ტოვებდა. ის ასე დიდხანს დამალვას იმიტომ ახერხებდა, რომ სახლის პატრონი იშვიათად ადიოდა მეორე სართულზე და სმენის დაქვეითების გამო ხმაური არ ესმოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 მაისისათვის

ვერძი – როგორც პირად ურთიერთობებში, ისე სამსახურში სირთულეებია მოსალოდნელი. კეთილგონიერება გამოიჩინეთ და ნებისმიერი პრობლემა ცივი გონებით გადაწყვიტეთ. ** კურო** – კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლის, მოგზაურობის, მივლინებებისათვის. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – იყავით დამოუკიდებელი. ერიდეთ სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას. დაუფიქრებლად ნურაფერს იტყვით. **კირჩხიბი** – მიიღეთ სტუმრები, მოინახულეთ მეგობრები. შეიცვალეთ გარემო. **ლომი** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა, თუმცა – გამოსწორებადი. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ქალწული** – სიჯიუტე და სხვისი აზრის უგულებელყოფა კარგს არაფერს მოგიტანთ. გათავისუფლდით ეჭვებისაგან. **სასწორი** – საკუთარი ინტერესების დაცვა დღეს აუცილებელია. ნუ გარისკავთ. **ღრიანკალი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ზედმეტი ემოციურობა და აჟიტირება საქმეში ხელს შეგიშლით. **მშვილდოსანი** – მოუთმენლობა და აჩქარება შესაძლოა შეცდომის დაშვების მიზეზი გახდეს. იყავით უფრო გაწონასწორებული და მშვიდი. **თხის რქა** – წარმატებას მხოლოდ მოვლენების ადეკვატური შეფასების შემდეგ მიაღწევთ. ნუ იქნებით იმპულსური. **მერწყული** – გუნებაგანწყობა შესანიშნავია. საღამოს უთანხმოება გელით ასაკით უფროს ნათესავებთან. **თევზები** – ერიდეთ დისკუსიებს, საკუთარი თვალსაზრისის დაცვას. ინტუიცია გიმახვილდებათ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. მონასტერი ხულოს რაიონში; 2. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 3. გადაჭარბებული სიყვარული ყველაფერი ფრანგულისა; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი. 8. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟის სახელი; 9. მრავალხმიანობა მუსიკაში; 12. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 14. ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი; 16. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში.

თარაზულად: 1. დელტაპლანის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 6. სტადიონი რიო დე ჟანეიროში; 7. ისლანდიის პარლამენტი; 9. ბუდისტთა სამლოცველო იაპონიასა და ჩინეთში; 10. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 13. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 15. საქარგავად გამოყენებული ფერადი ძაფი; 17. შეიარაღებული მძარცველი; 18. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 19. ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 20. ზღვისპირა კურორტი ყირიმში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ნოთაობა; 2. „ცოლიკაური“; 3. დეკანოზი; 4. გულჩორა; 5. ჰაფეზი; 9. ჩხეიძე; 11. ბორჩალო; 12. „ბოლერო“; 14. ზუგდიდი; 18. ივერი; 19. მეოხი.

თარაზულად: 4. გურონი; 5. ჰეროდოტე; 6. უელსი; 7. სლოგანი; 8. „ჰიტაჩი“; 10. ბამბა; 13. ბაზაზი; 15. აგუერო; 16. ზიჩი; 17. კანი; 20. დაგერი; 21. ტორერო; 22. მარაბდა; 23. ხახული.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფეტიში; 2. „აიდა“; 3. ალარმისტი; 4. ურანი; 5. პასტელი; 8. ნაგანი; 9. ზინგშპილი; 12. რეჟიმი; 14. ხუტორი; 17. ოპიზა.

თარაზულად: 1. ფუმიგაცია; 6. ალეგორია; 7. ტორნადო; 9. ზღარბი; 10. რიყე; 11. „სალხინო“; 13. „ხიხვი“; 15. „ვერიკო“; 17. ფიურსტი; 18. ჟირაფი; 19. უჯარმა; 20. კარიესი.

ხატია ბუნიათიშვილის კონცერტზე დასასწრები ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა

პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი 13 აგვისტოს როიალ ალბერტ ჰოლში კონცერტს გამართავს. პიანისტი მსმენელისთვის გრიგის საფორტეპიანო კონცერტს ესტონეთის საფესტივალო ორკესტრთან ერთად დაუკრავს. ორკესტრს მსოფლიოში ცნობილი ესტონელი დირიჟორი პაავო იარვი უდირიჟორებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პიანისტის კონცერტამდე ჯერ კიდევ სამი თვეა, ხატიას ერთგულმა მსმენელმა ბილეთები უკვე შეიძინა. როიალ ალბერტ ჰოლში დაგეგმილ კონცერტზე დასასწრები ბილეთები სრულად ელვის სისწრაფით გაიყიდა.

ლა სკალას აკადემიის კონკურსში ქართველებმა გაიმარჯვეს

ლა სკალას აკადემიაში სწავლა ნებისმიერი მომღერლის სანუკვარი ოცნებაა, რადგან იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვებათ.

აკადემიამ ორწლიანი სასწავლო კურსისთვის კონკურსი გამოაცხადა. ლა სკალას აკადემიის 2018/2020 წლის სასწავლო კურსის გამარჯვებულ 8 სტუდენტს შორის ორი ქართველი მოხვდა. რჩეულ სტუდენტთა შორის გიორგი წამალაშვილი და ცისანა გიორგაძე აღმოჩნდნენ.

ლაშა ხალვაში კანის კინოფესტივალზე დააჯილდოვეს

ქართველი პროდიუსერი ლაშა ხალვაში კანის რიგით 71-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს.

კანის კინოფესტივალზე ერთ-ერთმა პრესტიჟულმა და გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ ვარიეტი 10 ყველაზე წარმატებული პროდიუსერი დაასახელა. გამოცემამ რჩეულთა შორის ის პროდიუსერები შეარჩია, რომელთა ფილმებიც წელს ევროპისა და ამერიკის წამყვან კინოფესტივალებზე მონაწილეობდნენ და გამარჯვებები მოიპოვეს.

ჩამონათვალში მოხვდნენ ოსკარის, ოქროს გლობუსის, სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალების გამარჯვებული ფილმების პროდიუსერები. მათ შორის ქართველი პროდიუსერი ლაშა ხალვაში. ლაშამ ეს ჯილდო ანა ურუშაძის ფილმის „საშიში დედა“ და თინათინ ყაჯრიშვილის ფილმის „ჰორიზონტი“ პროდიუსერობისთვის მიიღო.

„მხოლოდ ქართული“ ნანუკა მიქაძემ დატოვა



მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართული“ კიდევ ერთმა კონკურსანტმა დატოვა. ქართული მულტფილმების ტური წარუმატებელი 18 წლის ნანუკა მიქაძისთვის აღმოჩნდა.

მაყურებლის რჩეული კვლავ საბა კემულარია გახდა. საბა შოუს უცვლელი ლიდერია და პირველობას არავის უთმობს.

ჟიურიმ უმაღლესი 50 ქულა სოფო ბათილაშვილს დაუწერა გია ყანჩელის სიმღერის „ჯადოსნური კვერცხი“ არაჩვეულებრივად შესრულებისთვის.

„მხოლოდ ქართულის“ გამარჯვებულის ტიტულის მოსაპოვებლად მომავალ ორშაბათს უკვე 7 კონკურსანტი იბრძოლებს.

სამგლოვიარო განცხადებები

მეგობართა ერთი ჯგუფი – მიშა ქავთარია, გივი სანაძე, ტარიელ ლოლაძე, თენგიზ მდივანი, ჯენეტო ჭანტურაია, ერიკო ელიავა, პაატა ქავთარია, ლევან რატიანი, ოთარ გაგუა, შალვა მშვილდაძე, ნოდარ ჩიბალაშვილი დიდი გულისტკივილითა და მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა

ბესიკ ვეშაპიძე

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გივი ბერიკაშვილი 85 წლის გახდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი გივი ბერიკაშვილი 85 წლის გახდებოდა.

მსახიობი 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან 60 წელზე მეტი ქართული თეატრის სცენაზე გაატარა. სრულიად უნიკალური და შეუზღუდავი ნიჭით გამორჩეული მსახიობის ანგარიშზეა უამრავი შესრულებული როლი თეატრსა და კინოში. საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილისა და იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემიების ლაურეატი, ხელოვნების ქურუმი და ყველაზე დიდი ჯილდოს – ხალხის სიყვარულის მფლობელი გივი ბერიკაშვილი ახლაც ახსოვს და უყვარს მაყურებელს.

გივი ბერიკაშვილი მარჯანიშვილის თეატრში თავის პირველ ვიზიტს ასე იხსენებდა:

– ძალიან პატარა ვიყავი, როცა ჩემი და მარჯანიშვილის თეატრის გზები გადაიკვეთა. შვიდი წლის გახლდით, სალაროს წინ ფოტო რომ გადავიღე, რომელზეც ჩემთან ერთად ქალბატონები სესილია თაყაიშვილი და ვერიკო ანჯაფარიძე იყვნენ გამოსახულნი. ჩემი ერთი ხელი ქალბატონ ვერიკოს ეჭირა, მეორე ქალბატონ სესილიას. ეს იყო ჩემი თეატრალური ნათლობა.

რაც შეეხება მაყურებლის სიყვარულს, ბატონი გივი ამ თემაზე განსაკუთრებული სითბოთი საუბრობდა:

– სამი კაცის მკვლელი მაქვს ნათამაშევი, მაგრამ ჩემს მაყურებელს მაინც ვუყვარვარ. ეტყობა, აქ სულ სხვა ამბავია. ყველა ადამიანს აქვს თავისი რაღაცა ადამიანური. მსახიობზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, გააჩნია, რა გზას ურჩევ ადამიანებს, როგორ მოიქცეს. თეატრის სცენა ცოტა უცნაური ადგილია და ბევრი რამის თქმის უფლებას გაძლევს, შენიშვნის მიცემის უფლებაც გაქვს, მითითებისაც, შექებისაც და რჩევისაც. ბევრს ლაპარაკობენ, მსახიობები სხვის ტყავში ძვრებიან და ეს ცოდვააო. არადა, რანაირი ცოდვაა მსახიობობა. წარმოაჩინო ადამიანის ცუდი და კარგი და დაანახო საზოგადოებას, რომ ასე არ უნდა მოიქცე და ისე უფრო სწორი საქციელია, ეს ცოდვაა?

სიკვდილზე საუბარი არასდროს უჭირდა, თუმცა ერთი პრობლემა მაინც ყოველთვის აწუხებდა:

– სიკვდილზე ლაპარაკი არ მიჭირს და ყველგან ვამბობ, რომ მისი არ მეშინია. ერთი რამის უფრო მეშინია-მეთქი, ამას რომ ვიტყვი, ყველა მაგას მეკითხება, ამისთანა რისი გეშინია, განა სიკვდილზე უარესი რამე არისო. ნამდვილად არის. იმდენი კარგი მსახიობი წავიდა ამქვეყნიდან, იქ, ერთი კარგი თეატრი ექნებათ გახსნილი, ნეტა მიმიღებენ იმ თეატრში, უმუშევარი არ დავრჩე, ამის მეშინია-მეთქი.

ჯაბა კილაძე: „ბოდიში, თუ ჩემი ნააზრევით ვინმეს ვერ დავაკმაყოფილებ“

ამ განცხადებას მსახიობი ჯაბა კილაძე აკეთებს და ახალგაზრდების ქმედებებს ემხრობა:

– ამ ადამიანებმა... ვის მიმართაც საზოგადოების ნაწილი იყო საშინლად აგრესიული, ეძახეს ბარიგების დამცველი! ქართველობის წამრთმევი! დასაწვავად და ციხეში ჩასაყრელად გამეტებულები, მეტიც, რო მიეშვით, ქუჩაშიც დახვრიტავდით, მოახერხეს ის, რაც ვერ მოახერხა ვერც ერთმა ამ ტერიტორიაზე ოდესმე მომიტინგე პატრიოტებმა.

დიახ, ამ ადამიანებმა ყველას მისცეს მაგალითი, როგორი ფორმით შეიძლება გააპროტესტო შენი თავისუფლების მიმართ წამოსული დაუმსახურებელი აგრესია და სადამსჯელო ღონისძიება! მაგალითი მისცეს, როგორ უნდა უპასუხო შენივე თანატოლებისაგან წამოსულ გინებას და პროვოკაციას!

პროტესტის სწორმა ფორმამ გამოიწვია ხელისუფლებისაგან აქამდე არმომხდარი ფაქტი, რაც თავისთავად პატივისცემას იმსახურებს და განასხვავებს ყველა მისი წინამორბედის საქციელებისაგან და ისინიც მაგალითი გახდებიან სხვებისთვის, რომ შენს ხალხს უნდა მოუსმინო და არა ურტყა დუბინკა!

მე ვამაყობ, რომ ამ ყველაფრის მომსწრე ვარ და მონაწილე, როგორც რიგითი მოქალაქე, რომელიც არა ვინმეს ან რამეს კონკრეტულს, არამედ ჩვენს თავისუფლებას ვიცავ და იმ თავისუფალ საქართველოს, სადაც განურჩევლად სქესის! რელიგიის! ორიენტაციის! კანის ფერის! რაღაცნაირი პრიჩოსკის თუ საყურის ადამიანები ვიცხოვრებთ ერთად!

დიახ, იმიტომ იომეს 9 აპრილს, რომ თავისუფლები ყოფილიყვნენ თავის აზროვნებაში და დაემარცხებინათ დოგმატური ჩამპალი საბჭოთა დადგენილი წესები! დაამარცხეთ თქვენში რადიკალური სიმპტომები, აგრესია, მოწოდებები ვინმეს განადგურებაზე მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენს გემოვნებაში არ ჯდება! ყველამ ერთად მივხედოთ ჩვენს ქვეყანას! საქართველო ყველა ჩვენთაგანის არის... იქნება და ვერ შეცვლით, მხოლოდ ხელს შევუშლით, როგორც წარსულში რადიკალურმა ზომამ ფატალურ შედეგამდე მიიყვანაა ჩვენი ქვეყანა!

ბოდიში, თუ ჩემი ნაზრევით ვინმეს ვერ დავაკმაყოფილებ, მაგრამ ჩაიხედეთ თქვენს თავებში ღრმად და მიხვდებით, რომ ესეა!

მსოფლიოს შედევრები იტალიიდან უკვე საქართველოშია

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფესტივალი იწყება და ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება გალამაზდება მსოფლიოს შედევრებით იტალიიდან.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ბოტიჩელის და მიქელანჯელოს შემდეგ, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში ამჯერად ტიციანის, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელისა და სხვა იტალიელი დიდი მხატვრების ნამუშევრები გამოიფინება.

„ტიციანი – ფერთა ოსტატი: მადონა ყრმით“ – ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელიც 5 აგვისტომდე გაგრძელდება. ნამუშევარი „ღვთისმშობელი ყრმით“ – „მადონა ალბერტინი“ ტიციანის ფერწერის განუმეორებელი სტილისა და ტექნიკის უბადლო ნიმუშია. ნახატი დაცულია ვენეციის აკადემიის გალერეაში, სადაც ვენეციური ხელოვნების უმდიდრესი კოლექცია ინახება.

„რენესანსის დიდოსტატები. გრაფიკული ნამუშევრები“ – ეს ტურინის სამეფო ბიბლიოთეკის კუთვნილი 45 გრაფიკული ნამუშევრის შესანიშნავი გამოფენაა. ნამუშევრების ავტორებს შორის არიან რენესანსის ოსტატები ლეონარდო დავინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოტიჩელი, ბრამანტინო, სინიორელი, ვაზარი, პინტურიკიო...

ფესტივალის ეგიდით ასევე მოეწყობა გარუცოს ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტის გამოფენა, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე იტალიურ ხელოვნებას გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე და აერთიანებს სხვადასხვა თაობის იტალიელი მხატვრების განსხვავებულ ხედვებსა და განსხვავებული გამომსახველობითი ენით შექმნილ ნამუშევრებს.

„ბერნინის სკოლა და რომაული ბაროკო“ კი არის გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ბაროკოს უმნიშვნელოვანესი ფიგურის, ჯან ლორენცო ბერნინისა და მე-17 საუკუნის სხვა ოსტატების ნამუშევრები რომის მახლობლად მდებარე „პალაცო კიჯი ინარიჩაში“ რომაული ბაროკოს მუზეუმიდან.

გამოფენები საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება. ექსპოზიციები იტალიის საელჩოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

16 მაისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4434
- ევრო — 2.9277
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3211
- 100 რუსული რუბლი — 3.9591

ამინდის პროგნოზი 16 მაისისთვის

3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

15 მაისიდან

სერია ნამდვილი დეტექტივი

დეშილ ჰემეთი
მალტის შევარდენი

მალტელ რაინდთა ორდენის მიერ ესპანეთის იმპერატორისთვის ნაჩუქარი უძვირფასესი განძი, ბრილიანტებით მოოჭვილი „შავი შევარდენი“, უამრავ პატრონს გამოიცვლის, მე-20 საუკუნის ამერიკაში აღმოჩნდება და თავის გზაზე სისხლიან ნაკვალევს დატოვებს.

ბოლომდე არავის სჯერა მისი არსებობის, მაგრამ ადამიანები მაინც დაუნდობლად ხოცავენ ერთმანეთს ამ ზღაპრული ნივთის ხელში ჩასაგდებად...

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

18 მაისიდან

ვიქტორ სუვოროვი
აკვარიუმი

ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ბუსკეტსი ხელფასის გაზრდას ითხოვს

ბარსელონის ნახევარმცველი სერხიო ბუსკეტსი ხელფასის გაზრდას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მან შესაძლოა ბარსელონა დატოვოს.

ჯერჯერობით ბარსელონა არ არის მზად, ბუსკეტსს ხელფასი გაუზარდოს, ამიტომ ზაფხულში, არ არის გამორიცხული, ბუსკეტსი მანჩესტერ სიტიში გადავიდეს, სადაც მას ხოსეპ გვარდიოლა ელოდება.

სიტი მზად არის, ბუსკეტსის ტრანსფერში 100 მილიონ ევროზე მეტი გადაიხადოს, თუმცა ბარსელონა ბუსკეტსის გაყიდვას ჯერჯერობით არ აპირებს.

სერხიო ბუსკეტსი ბარსელონაში 2008 წლიდან თამაშობს.

პსჟ-ს ახალი მწვრთნელი ტომას ტუჰელი იქნება

ოფიციალურად გადაწყდა, რომ პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი მომავალ სეზონში ტომას ტუჰელი იქნება.

ეს ინფორმაცია თვითონ ტუჰელმა დაადასტურა. ტუჰელის თქმით, მისთვის პსჟ-ში მუშაობა დიდი გამოწვევა იქნება:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შესაძლებლობა მომეცა. პსჟ დიდი გუნდია და ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ ყველა ტურნირში. ჩემთვის ეს დიდი გამოწვევაა და ერთი სული მაქვს, მუშაობა დავიწყო.

ტუჰელი პსჟ-სთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორი იქნება მისი წლიური ანაზღაურება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

სამი ექიმი კაფეში ზის და საუბრობს. ერთი ამბობს:

– ამ დილით დეპუტატს ბრმანაწლავის ოპერაციას ვუტარებდი და სანამ მისი მუცლის ღრუში ჩავაღწიე, ორი სკალპელი დამიბლაგვდა!

– ეგ რა არის, – ამბობს მეორე ქირურგი, – ამას წინათ დეპუტატისთვის გულზე ოპერაცია უნდა გამეკეთებინა, მკერდის ღრუ გავუხსენი, გულამდე მივაღწიე, ისეთი გაქვავებული იყო, რომ „ბარგალკის“ ორი ალმასის ხერხის გამოცვლა დამჭირდა.

ნეიროქირურგი კი ეუბნებათ:

– ეგ ყველაფერი სისულელეა. ოდესმე თუ გიცდიათ დეპუტატის ტვინი ქათმის თავის ქალაში გადაგენერგათ და თანაც ისე დაგემაგრებინათ, რომ არ იჭანჭყაროს?

●●●

მხურვალე სექსის შემდეგ ცოლი ქმარს ეუბნება:

– საყვარელო, კიდევ ერთხელ შემოდი ჩემში...

– ჯერ აზრზეც არ მოვსულვარ...

●●●

კაცმა ოქროს თევზი დაიჭირა და ეუბნება:

– მინდა მქონდეს პატარა საკუთარი ქარხანა, სახლი და მანქანა.

ოქროს თევზი ეკითხება:

– კარგი, მხოლოდ აირჩიე, კრედიტით თუ ლიზინგით?

– კარგი, მაშინ შენც აირჩიე, რითი მოგამზადო, ცხოველური ცხიმით თუ მცენარეულით?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ამას წინათ წავიკითხე, რომ თურმე მამაკაცი თავისი ცხოვრების ერთ მესამედს საწოლში ატარებს.

– ჰო, და ორ მესამედს იმის ცდაში, რომ საწოლში ვინმე შეიტყუოს...

●●●

რუსს ეკითხებიან:

– რატომაა, რომ გერმანიასა და იაპონიაში ომის ვეტერანებს უფრო მაღალი აქვთ პენსიები, ვიდრე რუსეთში?

– დამარცხებისთვის დამატებით თანხას აძლევენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გუდ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

საუბეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

სერია ნამდვილი დეტექტივი

22 მაისიდან ნაიო მარში კაცი იწვა მკვდარი

დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას“ თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მაისიდან



ანდრეა კამილერი წყლის ფორმა

ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპიდან დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

5 ივნისიდან

გილბერტ ჩესტერტონი
მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



12 ივნისიდან

როს მაკდონალდი შიში

ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ფილიპინების პლაჟზე ექვსმეტრიანი უცნაური არსება აღმოაჩინეს

ფილიპინების ქალაქ სან-ანტონიოს პლაჟზე, რომელიც აღმოსავლეთ მინდოროს პროვინციაში მდებარეობს, აღმოაჩინეს ამოუცნობი ზღვის ცხოველის სხეული, რომელიც უკვე იხრწნებოდა. ნაპირზე გამორიყული ორგანული მასის სიგრძე ექვს მეტრს შეადგენს. ის ბეწვებითაა დაფარული. თვითმხილველთა თქმით, ობიექტი ძლიერ ბოროტებას ასხივებს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, როგორც კი სპეციალისტებმა მისი ქსოვილის ნიმუშები აიღეს, არსება იქაურობას დაუყოვნებლივ მოაშორა.

– ღმერთო ჩემო, როგორ ყარს, თითქოს სხვა პლანეტიდან იყოს, – განაცხადა თევზაობის ინსპექტორმა ბოქს კრუზადამ, – ძალიან დიდი მოთმინება დამჭირდა მისი სხეულიდან ქსოვილის ნიმუშების ასაღებად. კინაღამ გული ამერია. ამის შემდეგ სასწრაფოდ ვიბანავე. მართალია თავი უკეთ ვიგრძენი, მაგრამ მისი სუნი მაინც თანმდევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 2. ცალკე მდგომი უძრავი საგანი ადგილმდებარეობაში გასარკვევად; 3. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 4. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული დეკორატიული საჩრდილობელი ბაღებში, პარკებში; 5. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 9. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი მამაკაცი; 11. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 12. ატმოსფერული ნალექი; 14. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 18. პროფესიონალი მონადირე; 19. მტრედის ბარტყი.

თარაზულად: 4. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 5. სასტუმრო გაგრაში; 6. საჭმელი სოკო; 7. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 8. წვრილი, წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 10. მწირი, მცირემოსავლიანი ნიადაგი; 13. ნორვეგიელი დრამატურგი; 15. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. კუნძული მდინარე სენაზე, პარიზის ისტორიული ცენტრი; 17. კომბინაცია პოკერში; 20. საჭადრაკო ამოცანა; 21. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 22. შენობის ლითონის ჩონჩხი; 23. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა